შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

არასრულწლოვანთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **გიორგი ბარნოვი**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი გივი ლობჟანიძე

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია----------3

Annotation----------4

შესავალი----------5

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა ----------6

თავი II. არსრულწლოვანთა დანაშაულობის გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების ცნება---------8

2.1.არასრულწლოვანთა დანაშაულობის ცნება ---------- ----8

2.2.არასრულწლოვანთა დანაშაულობის დახასიათება----------11

2.3. არასრულწლოვანთა დანაშაულობის გამომწვევი მიზეზები----------14

თავი III. არასრულწლოვანთა სისიხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკანონმდებლო მოწესრიგება---------- 19

3.1. არასრულწლოვანის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება----------19

3.2. არასრულწლოვანთა სასჯელის სახეები ----------21

3.3. სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები ----------32

თავი IV. არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტატისტიკის ანალიზი და დეტერმინაცია (პრევენცია) ----------44

4.1. არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტატისტიკა ----------44

4.2. არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავიდან აცილება ---------- ---46

თავი V. კვლევის შედეგები ----------47

დასკვნა ----------48

გამოყენებული ლიტერატურა ----------50

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი შეეხება არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმინოლოგიურ დახასიათებას. არასრუწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენა საკმაოდ აქტუალური და პრობლემატური საკითხია. შესაბამისად, ნაშრომის მიზანია, მიმოიხილოს არასრულწლოვანთა დანაშაულობების თავისებურებანი და არასრულწლოვანთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკანონმდებლო მოწესრიგება, პრაქტიკა და სტატისტიკა რაც არსებობს საქართველოს კანონმდებლობაში არასრულწლოვანთა დანაშაულის მხრივ.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Annotation

The Foregoing master's thesis deals with The criminological characterization of juvenile delinquency. Commission of offence by juvenile is quite topical and problematical issue. Accordingly, the aim of the thesis is to review the peculiarities of juvenile delinquency, Legislative regulation of juvenile criminal liability, Practice and Statistics, Which exists in Georgian legislation about juvenile delinquency.

The work includes annotation, table of contents, introduction, the main topic (that is divided into chapters and sub chapters), conclusion and list of used literature.

შესავალი

წინანმდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია არასრულწლოვანთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება. თემის აქტუალურობას განაპირობებს მოზარდთა, როგორც რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფის, არსებობა ჩამოყალიბდეს დამნაშავედ ან გახდეს პოტენციური დამნაშავე. იმისათვის რომ ქვეყანაში შემცირდეს არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულობები და ზოგადად გაუმჯობესდეს კრიმინოლოგიური მდგომარეობა, საჭიროა სწორედ ვიკვლიოთ საკითხი და დავადგინოთ ის მიზეზშედეგობრიობა, რაც განაპირობებს მოზარდების მიერ სხვადასხვა დანაშაულობების ჩადენას.

რაც შეეხება ნაშრომის მიზნებსა და ამოცანებს იგი მიმოიხილავს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულებს და ამ დანაშაულობების გამომწვევ მიზეზებს და ხელშემწყობ, მაპროვოცირებელ ფსიქო-ემოციურ ფაქტორებს. აგრეთვე, განიხილავს საქართველოში არსებული საკანონმდებლო რეგულაციებს და მის ეფექტიანობას. ნაშრომში განხილულია არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულობების ბოლო წლების კრიმინოლოგიური სტატისტიკა. წინანმდებარე ნაშრომის კვლევით მიზანს წარმოადგენს არსრულწლოვანთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება, სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით, როგორც ქართველი ასევე უცხოელი მკვლევარების მასალათა გათვალისწინებით. იმისათვის რომ გავაანალიზოთ რამდენად ხშირად ხდება არასრულწლოვნების მიერ სამართალდარღვევები ნაშრომში განხილულია ცალკეული პრობლებები, წინააღმდეგობები და მიზეზშედეგობრივი კავშირები. დასახული კვლევითი მიზნების მისაღწევად შესწავლულ იქნა სხვადასხვა კრიმინოლოგთა და ფსიქოლოგთა თეორიები.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

არასრულწლოვანი ყოველთვის ექცეოდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულობები, იმდენად დიდი მნიშვნელობისაა, რომ ყველა დემოკრატიული ქვეყნის ზრუნვის საგანია. აქედან გამომდინარე, არასრულწლოვანთან და მათ მიერ დანაშაულობის ჩადენასთან დაკავშირებით საკმაოდ მოცულობითი ლიტერატურაა დამუშავებული.

არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმინოლოგიური დახასიათების კვლევისას პირველ რიგში განვიხილე დანაშაულის ცნება, რაშიც დამეხმარა საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულის ცნებას და ასევე ზ. წულაიას ,,კრიმინოლოგია".

დანაშაულის ცნებაზე საუბრის შემდგომ ნაშრომში განვიხილე არასრულწლოვანთა დანაშაულობის მახასიათებლები, რასთან დაკავშირებითაც დამეხმარა შალიკაშვილი მ. და მიქანაძე გ.-ს სახელმძღვანელოები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისოსამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2011 და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016.

სამაგისტრო ნაშრომში აგრეთვე განიხილულია არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, რომლის განხილვაშიც დამეხმარა იზა კელენჯერიძის სტატია „არასრულწლოვანთა დანაშაულობის მიზეზები და პირობები მოზარდის პიროვნება როგორც სუბკულტურული ფასეულობების მატარებელი და მისი დამნაშავედ ფორმირების ეტაპები"; გოძიაშვილი ი, კრიმინოლოგია, თბილისი, 1998; ასევე საინტერესო იყო ნინო მამრიკიშვილის დისერტაცია აღზრდა, როგორც დანაშულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმი, ქუთაისი, 2017.

არასრულწლოვანთა დანაშაულის ცნების და დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზების განხილვის შემდგომ გავეცანი არასრულწლოვანის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს. 2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც ორიენტირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით გავეცანი შემდეგ სტატიებს: ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, 2017 და შეყილაძე ხ. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის არსი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი N2 2016 , უნივერსიტეტის გამოცემა.

შემდგომ გავეცანი სასჯელის ცნებას, მიზანს და არასრულწლოვანთა სასჯელის სახეებს. აღნიშნული საკითხის კვლევაში დამეხმარა მერაბ ტურავას სახელმძღვანელო სისხლის სამართალი - ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი, 2013; მ. ლეკვეიშვილის სტატია ჟურნალში ,,მართლმსაჯულება და კანონი'', N4, სახელწოდებით -

,,სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები''; ი. დვალიძის ,,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები'', თბილისი, 2013 წელი; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ქ. ჰამილტონი, თბილისი, 2011; ვარძელაშვილი ი, არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი), არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017; ირინე ხერხეულიძის სტატია ჯურნალში ,,მართლმსაჯულება და კანონი'', #2 (29) 11, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა-არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი (საქართველოსა და აშშ-ს სისხლისამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი).

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის - განრიდებისა და მედიაციის კვლევისას, მოძიებულ და დამუშავებულ იქნა მ. შალიკაშვილისა და გ. მიქანაძის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“; მ. შალიკაშვილის „არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის, სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები“; ქეროლინ ჰამილტონი, სახელმძღვანელო დოკუმენტი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011; ე. კოდუა, არასრულწლოვანთა სტიგმატიზაცია, ქ. თბილისი, 2004 წ..

თავი II. არასრულწლოვანთა დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების და ხელშემწყობი მიზეზების ცნება

2.1. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ცნება

კრიმინოლოგია (ლათ. ,,Crimen'' - დანაშაული და ბერძნ. ,,Logos'' - სწავლება) არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დანაშაულობას, როგორც სოციალურ მოვლენას. როგორც ცნობილია, დანაშაულობა კრიმინოლოგიის მეცნიერების საგნის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, ხოლო დანაშაულობის თავიდან აცილება - აღნიშნული მეცნიერების ძირითადი მიზანი [1].

როგორც ცნობილია, კრიმინოლოგებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობაა დანაშაულობის რაობაზე. ძნელია ცალსახად განისაზღვროს რა ფორმებითა და მექნიზმებით არის შესაძლებელი განხორციელდეს მასზე სოციალური კონტროლი. ინგლისურენოვან ლიტერალურაში ტერმინი „დანაშაულობა“ (criminality) იშვიათად გვხვდება, ძირითად შემთხვევებში ავტორები შემოიფარგლებიან ტერმინით „crime“, offence (დანაშაული). ეტიმოლოგიური თვალსაზრისით დანაშაული განიმარტება, როგორც საზოგადოებაში დადგენილი ქცევის წესისა და სოციალური ნორმების დარღვევა. რუსულ ენაში დანაშაულის განმსაზღვრავად გამოიყენებენ შემდეგ ტერმინებს „преступление“ მომდინარეობს სიტყვიდან „переступать“ და ნიშნავს ზღვარს გადასვლას, გადაცდომას[2]. ანალოგიურად განიმარტება დანაშაული გერმანულ ენაზე „vergehen, verbrechen“. მართლზომიერად განიხილება საზოგადოებაში დადგენილი ნორმალურ ურთიერთობათა საზღვრების დაცვა, ხოლო ასეთი ურთიერთობების დარღვევა არამართლზომიერად, უსამართლოდ. ტერმინთა აღნიშნულ სიმრავლეს ემატება ცალკეული ქვეყნების დანაშაულის სოციოლოგიაში მიღებული ტერმინები და ცნებები, ამერიკულში „დელიქვენტობა“, ინგლისურ-ამერიკულ სისხლის სამართალში „ტრიზნი“, „ფელონიები“ და „მისდიმინორი“ (treasons, felonies, misdemeanours). ეს ტერმინები შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს ინგლისურ სამართალში და სხვადასხვა ცნების შინაარსს გამოხატავს. მაგალითად ტერმინი „ტრიზნი“ აღნიშნავს სახელმწიფოს ღალატს, „ფელონიები“ ისეთ დანაშაულთა კატეგორიებს, როგორიცაა მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა თუ სხვა. შედარბით მსუბუქ დანაშაულებს აღნიშნავს ტერმინი „მისდიმინორი“, მისით გამოხატავენ იოლი ფორმის დანაშაულებს, როგორებიცაა სიყალბე, ცრუმოწმეობა და სხვა. ამ ტერმინთა შორის ყვეაზე ხშირად გვხვდება ინგლისურ და ამერიკულ კრიმინოლოგიაში „დელიქვენტობა“, რომელის განისაზღვრება ერთ შემთხვევაში, როგორც არანორმალური ქცევის გამოვლენა (იხ. ლეზლი ვილკინსი), ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც სამართლის დარღვევისადმი ფსიქოლოგიური ტენდენცია. ის თავისებურად გამოხატავს კანონსაწინააღმდეგო მოქმედების განწყობასაც და თვით კანონსაწინააღმდეგო მოქმედებასაც[3].

---

[1] დ. წულაია, კრიმინოლოგიის მნიშვნელობა საზოგადოებასა და სახელმწიფოში, ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი'', N3, გვ. 105

[2] И. И. Карпец , Преступность: иллюзии и реальность, М., 1992, с. 69.

[3] ე.კოდუა, ,,სოციოლოგია'', II ნაკვეთი, თბ., 1998, გვ.229.

თანამედროვე კრიმინოლოგიაში დანაშაულობის გაგება-შემეცნების სამი ძირითადი მიდგომა არსებობს: 1) ლეგალისტური – დანაშაულობა არის ის, რაც აკრძალულია კანონით; 2) სოციალურ-რეაქციული, რომლის თანახმად დანაშაულებრივია ის, რაც იკიცხება საზოგადოების, სახელმწიფოს მიერ და რისთვისაც დაწესებულია სასჯელები და 3) კრიტიკული – რომელიც არ იზიარებს ხსენებულ ორ მიდგომას და ჩვენი აზრით, დაფუძნებულია ე. დიურკჰეიმის თეზისზე, რომლის თანახმად: „დანაშაულობა საზოგადოებისათვის ნორმალური მოვლენაა“[4].

,,დანაშაულობა სისხლისსამართლებრივი მოვლენაა, ვინაიდან მასში შემავალ დანაშაულთა წრეს განსაზღვრავს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ხოლო დანაშაულობის სამართლებრივი ელემენტი განასხვავებს მას ისეთი სოციალური მოვლენისაგან, როგორიცაა ამორალური გამოვლინება. დანაშაულობის მართლწინააღმდეგობის ხარისხით იგი განსხვავდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, დისციპლინარული და სამოქალაქო-სამართლებრივი დარღვევებისგან“[5].

დანაშაული შეიძლება იყოს სხვადასხვა კატეგორიის, სხვადასხვა პირის თუ პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი ქმედება. ჩადენილი დანაშაულებიდან აღსანიშნავია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულობები, რომელიც იმდენად დიდი მნიშვნელობისაა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ზრუნვის საგანია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში შემდეგნაირად არის განმარტებული დანაშაულის ცნება: ,,სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება”. ამდენად, ქმედების დანაშაულად მიჩნევისთვის აუცილებელია, იგი იყოს მართლსაწინააღმდეგო (ეწინააღმდეგებოდეს სამართლის ნორმებს, არ შეიცავდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს) და ბრალეული (სახეზე იყოს კონკრეტული პირის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში და არ იკვეთებოდეს საქართველოს სისხლლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება).

აღნიშნული მუხლის შესაბამისად, დანაშაული არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის კონკრეტული დანაშაულის ჩამდენი პირის ვალდებულება, სისხლის სამართლის კანონით დადგენილ ფარგლებში, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით დაისაჯოს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებისათვის. დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულის აუცილებელი კომპონენტია პირის მიერ ისეთი ქმედების (უმოქმედობის) განხორციელება, რომელიც ზიანს აყენებს ან ამგვარი ზიანის საფრთხეს უქმნის სამართლით დაცულ ამა თუ იმ სიკეთეს.

[4] ზ. წულაია, „კრიმინოლოგია“, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 1998, გვ. 45.
[5] ზ. წულაია, ,,კრიმინოლოგია’’, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2003, გვ. 45.

არასრულწოვანთა დანაშაული ზოგადად საზოგადოებაში არსებული დანაშაულობის ნაწილია. ქართული კანონმდებლობა არ გვაძლევს არასრულწლოვანთა დანაშაულის ტერმინის განმარტებას.

უპირველეს ყოვლისა ავღნიშნავ, რომ არასრულწლოვნის ან მოზარდის საერთო ცნება არ არსებობს. მოზარდობის ანუ არასრულწლოვნის ასაკი წარმოადგენს პერიოდს, ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის[6]. ამასთანავე, საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით არასრულწლოვნის ცნება უკავშირდება 18 წლის ასაკს.

„ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის პირველი მუხლის თანახმად ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი, სანამ ის 18 წლის ასაკს მიაღწევდეს, თუ კანონით, რომელიც ამ ბავშვისადმი გამოიყენება, ის უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ,,მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ" (პეკინის წესების) თანახმად, სამართლებრივ სისტემებში, რომლებიც აღიარებენ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ცნებას, ასეთი ასაკის ქვედა ზღვარი არ უნდა დადგინდეს ძალიან ადრეულ ასაკში ემოციური, გონებრივი და ინტელექტუალური მოწიფულობის გათვალისწინებით. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ამგვარი ასაკის დადგენისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მოზარდის შესაძლებლობაზე, გაანალიზოს და შეიგრძნოს ჩადენილი ქმედების ანტისაზოგადოებრივი და ანტისოციალური ხასიათი.

გაეროს წესების „თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", („ჰავანის წესები") თანახმად, არასრულწლოვნად მიიჩნევა ყველა ადამიანი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის. დოკუმენტის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მოპყრობა უნდა განსხვავდებოდეს ზრდასრულებთან მოპყრობისაგან.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისთვის, არასრულწლოვანი არის პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი. აღნიშნულის გათვალისწინებით არასრულწლოვანთა დანაშაულის ცნების ქვეშ მოიაზრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომელიც ჩადენილია 14-17 წლის მოზარდების მიერ.

[6] ივანიძე მ., „არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები", წიგნში არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, გვ. 14

2.2. არასრულწლოვანთა დანაშაულობის დახასიათება

მიუხედავად იმისა რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის ერთიანი (ზოგადი) ცნება არ არსებობს შესაძლებელია იმ მახასიათებლების განსაზღვრა რომლებიც არასრულწლოვანთა დანაშაულს უკავშირდება.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში არასრულწლოვანთა დანაშაული მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე ნაკლები ეკონომიკური ზარალისა და საშიშროების მქონე დანაშაულად, რომელიც ნორმალური მოვლენაა, გავრცელებულია საზოგადოების ყველა ფენაში და ახასიათებს ეპიზოდურობა. გარდა ამისა, ისინი სპონტანურად, წინასწარი დაგეგმვის გარეშეა ჩადენილი და მისი მონაწილენი დაბალი კრიმინალური ენერგიით გამოირჩევიან[7].

„მოზარდთა დანაშაულობასთან შედარებით არასრულწლოვანთა დანაშაულობა საზოგადოებისთვის ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს, რაც გამოიხატება იმაში, რომ მათ დანაშაულს ნაკლები ზარალი მოაქვს და რომ აქ შედარებით დაბალია მძიმე დანაშაულობათა წილი“[8].

არასრულწლოვანთა დანაშაული მათი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების გამო მიიჩნევა საზოგადოების ნორმალურ გამოვლინებად. თითქმის ყველა არასრულწლოვანს ერთხელ მაინც აქვს კანონის ნორმა დარღვეული და იგი გავრცელებულია საზოგადოების ყველა სოციალურ ფენაში.

არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაული ეპიზოდური ხასიათისაა, ანუ მოზარდმა დანაშაული შესაძლებელია ჩაიდინოს ნებისმიერ დროს - გარდატეხის ასაკიდან მის სრულ ჩამოყალიბებამდე[9]. იმისათვის რომ, ეპიზოდურობის საკითხი დადგინდეს და გაანალიზდეს, მიზანშეწონილია ისეთი საკითხების კველვა როგორებიცაა დამნაშავის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის ჩადენის საწყისი ასაკი, დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტა და გადასვლა, გადანაცვლება სრულწლოვანთა დანაშაულში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება იქვას, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული გარკვეულწილად არის ნორმალური მოვლენა, რომელიც საზოგადოების ყველა ფენაშია გავრცელებული, ახასიათებს ეპიზოდურობა, არის მაღალლატენტური და ხშირად ჩადენილია ჯგუფურად. ხოლო მთავარ მახასიათებელს კი დამნაშავის ასაკი წარმოადგენს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისთვის, არასრულწლოვანი არის პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი. სწორედ ამ დროს, არასრულწლოვანი აღწევს გარდატეხის ასაკს, რომელსაც, ფსიქოლოგები ახასიათებენ, როგორც პიროვნების განვითარების კრიზისულ

---

[7] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისოსამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2011, 17.

[8] ი. გოძიაშვილი, კრიმინოლოგია. თბილისი, 1998. გვ. 187

[9] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისოსამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2011, გვ. 18-19.

პერიოდს, რადგან თვისობრივად იცვლება ბავშვის ფიზიკური მდგომარეობა, მისი სხეული, ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარება; ეს პერიოდი გარდატეხაა ბავშვობიდან მოზრდილობაში და კრიზისულია სწორედ იმიტომ, რომ პირი უკვე აღარაა ბავშვი, მაგრამ არც - მოზრდილი. არასრულწლოვნობის ან მოზარდობის პერიოდი არის პიროვნების ჩამოყალიბების ასაკი, როდესაც უნდა დაიძლიოს ღირებულებითი ორიენტაციების, ინტერესების, სულიერი მოთხოვნილებების მერყეობა. მოზარდი თაობის მორალურ-ფსიქოლოგიური იერის დამახასიათებელი თვისებაა აქტიური ცხოვრებისული პოზიციის ფორმირება და მომავალი საქმიანობის გეგმების განსაზღვრა. თუმცა, ამ ასაკთან დაკავშირებით, აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ზოგჯერ ნაკლებად ითვალისწინებენ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებსა და ობიექტურ სიძნელეებს. ბევრი მოზარდი თავისი მომავლის განჭვრეტისას მხედველობაში იღებს მხოლოდ სასურველი შედეგის მიღწევას და არა მისი მოპოვების გზებსა და საშუალებებს, იმ შესაძლებლობებს, რომლებიც საბოლოო შედეგის მიღწევისთვისაა აუცილებელი. აქედან გამომდინარე, ხდება იმ მატერიალური ნორმებიდან გადახრა, რაც დადგენილი და გაბატონებულია ამა თუ იმ საზოგადოებაში. ჩვენს რეალობაში კი ეს პრობლემა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება[10].

გარდატეხის პერიოდში არასრულწლოვნი იმყოფება შეზღუდული შერაცხადობის მდომარეობაში, რის გამოც, არასრულწლოვნობის პერიოდში დანაშაულის ჩადენა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კუთხით, ერთგვარ შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს. ყოველივე ამას განაპირობებს გარდატეხის ასაკში მიმდინარე ბიოლოგიური, ფსიქო-ემოციური ცვილიებებით გამოწვეული სირთულეები.

ლატენტურად უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც სამართალდამცავი ორგანოებისათვის არ გახდა ცნობილი, ვერ იქნა გამოვლენილი და ამიტომ, არ მოხდა პოლიციის სტატისტიკაში მათი აღრიცხვა და რეგისტრაცია.

ლატენტური დანაშაულის შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ გამოკითხვაში იმის თაობაზე: 1) ჩაუდენიათ თუ არა დანაშაული (დამნაშავის გამოკითხვა); 2) გამხდარან თუ არა დანაშაულის მსხვერპლნი (მსხვერპლის გამოკითხვა); 3) ცნობილია თუ არა მათთვის დანაშაულის ჩადენის ფაქტი (ინფორმაციული გამოკითხვა)[11].

ლატენტური დანაშაულის კვლევის საფუძველზე, კრიმინოლოგი კაიზერი აცხადებს, რომ:

- არასრულწლოვანთა დანაშაული უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე ეს პოლიციის სტატისტიკით არის რეგისტრირებული. თითქმის ყველა არასრულწლოვანს ერთხელ მაინც აქვს ჩადენილი მსუბუქი დანაშაული;

- არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი ხდება სამართალდამცავი ორგანოებისათვის ცნობილი, გამოძიებული და სანქციონირებული. შესაბამისად, არასრულწლოვნების მიერ კანონის დარღვევა ნორმალურად უნდა იქნეს მიჩნეული, მაგრამ არანორმალურია, როდესაც ისინი მკაცრი სასჯელით არიან სანქციონირებული;

[10] შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016, გვ. 1.
[11] შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016, გვ. 11

- ძირითადად ლატენტური დანაშაულის კვლევა მსუბუქ დანაშაულებს ავლენს, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე სახის დანაშაულები კი ოფიციალურად რეგისტრირებულია;

- მნიშვნელოვნად ცოტაა გოგონების მიერ ჩადენილი დანაშაული;

- არასრულწლოვნები, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაული ცნობილი გახდა პოლიციისათვის და დაისაჯნენ სასამართლოს მიერ, არაფრით განსხვავდებიან სხვა იმ არასრულწლოვნებისაგან, რომლებიც დასჯილნი არ არიან;

- ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ შემთხვევით დანაშაულის ჩამდენი და დამნაშავე არასრულწლოვნები. განსხვავებულ უნდა იქნეს მათი რესოციალიზაციის პროგრამებიც[12].

[12] იქვე. გვ. 11-12

2.3. არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები

დანაშაულის თავიდან აცილებისთვის აუცილებელია მისი ხელშემწყობი ფაქტორების კვლევა, რადგან, თუ დავადგენთ დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს, მისი თავიდან აცილების მექანიზმების გამოიძებნა გახდება მეტად მარტივი.

კრიმინოლოგიური ეტიოლოგია არის მოძღვრება დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესახებ.

დანაშაულის გამომწვევი მიზეზები საკმაოდ მრავალფერივანია. იტალიელი იურისტის, რომანოზის ნაშრომებში დანაშაულობის გამომწვევი მიზეზები ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი: 1) საარსებო საშუალებების ნაკლებობა; 2) აღზრდის ნაკლებობა; 3) წინდახედულობის ნაკლებობა; 4) მართლმსაჯულების ხარვეზი. როგორც ჩანს, დანაშაულობის გამომწვევი აღნიშნული ჯგუფებიდან პირველი ჯგუფი არის ეკონომიკური ხასიათის, მეორე მორალური, ხოლო მესამე და მეოთხე - პოლიტიკური[13].

იტალიელი ფსიქიატრი და ციხის ექიმი, კრიმინოლოგიის მამად აღიარებული ჩეზარე ლომბროზო ამტკიცებდა, რომ ადამიანი დამნაშავედ არ ყალიბდება, არამედ გენეტიკურად ვლინდება. წიგნში ,,დამნაშავე ადამიანი" იგი დანაშაულებრივი ქცევის ძირითად მიზეზებად, ბიოლოგიურ და გარემო ფაქტორებს ასახელებდა და ამტკიცებდა, რომ პიროვნება დამნაშავეა თუ არა, მიუთითებს მისი გარეგნობა.

იტალიელი კრიმინოლოგი და პოლიტიკოსი ენრიკო ფერი გამოჰყოფს დანაშაულის გამომწვევი მიზეზების სამ ძირითად ჯგუფს: ანთროპოლოგიური ფაქტორები, ფიზიკური ფაქტორები, სოციალური ფაქტორები. ანთროპოლოგიური მიზეზები დამნაშავის პიროვნებიდან მომდინარეობს. მაგალითად, ასაკი, სქესი, პროფესია, საცხოვრებელი ადგილი, განათლება და აღზრდა; ფიზიკურ ფაქტორებად ენრიკოს ფერის მიაჩნია რასა, კლიმატი, ნიადაგის მოსავლიანობის ხარიხსი, წელიწადის დროები, ხოლო სოციალური ფაქტორებია: მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება, ემიგრაცია, საზოგადოებრივი აზრი, ტრადიციები, რელიგია, პოლიტიკური და ეკონიმიკური მდგომარეობა, კანონმდებლობა და სხვ.

სტატიაში „არასრულწლოვანთა დანაშაულობის მიზეზები და პირობები მოზარდის პიროვნება როგორც სუბკულტურული ფასეულობების მატარებელი და მისი დამნაშავედ ფორმირების ეტაპები" იზა კელენჯერიძე არასრულწლოვანთა დანაშაულის მიზეზებად ასახელებს:

1. „ოჯახის როლი;

2. სასკოლო აღზრდის ნაკლოვანებები;

3. ასაკობრივი თავისებურებები;

4. მძიმე სოციალური პირობები და გარემო;

5. ალკოჰოლი და ნარკოტიკი;

6. ძალადობის ამსახველი ფილმები;

7. მიგრაცია.

[13] ც. გახოკიძე, მ. გაბუნია, კრიმინოლოგია, თბილისი, 2017, გვ. 15

არასრულწლოვნებში, დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევ მიზეზად პროფესორი ირაკლი გოძიაშვილი მათი ცხოვრების ოთხ ძირითად სფეროს ასახელებს: სწავლა, შრომა, ყოფა და დასვენება. არასრულწლოვნებში ხშირია სწავლისადმი დაქვეითებული ინტერესი, თუმცა ჩვეულებრივი მოვლენაა სიამოვნების მიღებისკენ, ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკული საშუალებების მიღებისკენ სწრაფვა; სულიერი სფეროს სიღარიბე და დროის უქმად გატარება; ამ პერიოდში მათში იმატებს აგრესიულობა, სწრაფვა ინდივიდუალიზაციისკენ; ორიენტაციას იღებენ იმავე სოციალური სტატუსის პროფესიათა შერჩევაზე, რომელიც არასრულწლოვანთა ოჯახური გარემოცვის წევრებს აქვთ და სხვ.[14]

არასრულწლოვანთა დანაშაულთან ბრძოლაში უდიდესი როლი ენიჭება ოჯახს. ოჯახი უმთავრეს როლს თამაშობს პიროვნების ფორმირებაში - ოჯახურ გარემოში აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანის სოციალიზაციისათვის, ღირებულებათა, მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა ჩამოყალიბებაში.

როდესაც ვსაუბრობთ არასრულწლოვანთა დანაშაულზე და მათ პერევენიციაზე, რათქმაუნდა უდიდესი პასუხისმგებლობა და როლი ოჯახს ენიჭება. სწორედ ოჯახია ის გარემო სადაც მოზარდი თავისი დროის უდიდეს ნაწილს ატარებს და ყალიბდება პიროვნებად. ოჯახში იღებს პირველ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სწავლობს თუ როგორ უნდა მოიქცეს სხვა სიტუაციაში. მნიშვნელოვანია, რომ რასაც ვასწავლით ბავშვებს განმტკიცებული იქნეს კონკრეტული მაგალითებით. რაღათქმაუნდა აღზრდაზეა დამოკიდებული, თუ როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდება ბავშვი, რა თავისებები, რა ინტერესები ექნება მას. მშობელზეა დამოკიდებული ბავშვის ფიზიკური, კოგნიტური და პიროვნული განვითარება. მნიშვნელოვანია, როგორ გარემოში გაიზრდება იგი, როგორ დამოკიდებულებას გამოიჩენს მშობელი მის მიმართ, ანუ აღზრდის როგორ სტილს გამოიყენებს იგი[15].

როდესაც ვსაუბრობთ მშობლისა და ოჯახის როლზე ბავშვის აღზრდაში, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ საკითხზე: არაერთმა კვლევამ დაადასტურა, რომ აღზრდის ავტორიტარული მეთოდი [მშობლები დირექტიული მიდგომებით ურთიერთობენ ბავშვებთან ''ამის გაკეთება არ შეიძლება'', შვილებისგან დისციპლინირებულობას ითხოვენ და ნაკლებად ინტერესდებიან მათი დამოუკიდებლობით. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ყოველგვარი ახსნის გარეშე, უწესებენ სასჯელს. ამ დროს ოჯახში ყველა გადაწყვეტილებას მშობელი იღებს, ბავშვი კი იზრდება მორიდებულ, მორცხვ პიროვნებად. ამ სტილით აღზრდილ ბავშვს კონფლიქტების გადაჭრის ერთადერთ გზად დათმობა მიაჩნია, როგორც წესი, ასეთი, ზედმეტად მორცხვი და დამთმობი ადამიანები ნაკლებად აღწევენ წარმატებას ცხოვრებაში. ბავშვი ითრგუნება, ექმნება არაადეკვატური შეხედულება საკუთარ თავზე, დაბალია მისი თვითშეფასება], ასევე არასისტემატური აღზრდა და ბავშის უკონტროლოდ დატოვება, უარყოფით გავლენას ახდენს მის ჩამოყალიბებაზე.

ჰირშის თეორიის (1969) მიხედვით, ახლო ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის წარმოშობს მოსიყვარულე და თბილ დამოკიდებულებას არასრულწლოვანსა და მის მშობელს შორის . თუ არასრულწლოვანი მჭიდროდ არის დაკავშირებული თავის მშობლებთან, ნაკლებად

[14] გოძიაშვილი ი, კრიმინოლოგია, თბილისი, 1998, გვ. 189-190.

[15] მამრიკაშვილი ნ, აღზრდა, როგორც დანაშულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმი, ქუთაისი, 2017, გვ. 48.

სავარაუდოა, რომ ასეთმა არასრულწლოვანმა ჩაიდი ნოს დანაშაული. თუ მათ შორის კავშირი სუსტია, მაშინ არასრულწლოვნები არ გაიზირებენ საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს ან პატივს არ სცემენ ავტორიტეტებს და შესაბამისად, ალბათობაც იმისა, რომ მათ ჩაიდინონ დანაშაულებრივი ქმედება გაიზრდება.

საინტერესოა დანგრეული ოჯახის („Broken Home“) როლი ბავშვის კრიმინალად ჩამოყალიბებაში. არასრულწლოვანთა დანაშაულის რისკ-ფაქტორი არის ბავშვის აღზრდა ისეთ ოჯახში, სადაც მშობლები განქორწინებული ან დაშორებული არიან. „Broken Home“ – ეს არის ოჯახი, რომელიც სტრუქტურულად არასრულია, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს მშობლების განქორწინებით, ან ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალებით, რაც ხელს უშლის ოჯახის ნორმალურ ფუნქციონირებას. კვლევების მიხედვით, „broken home”-ს მართალია გავლენა აქვს არასრულწლოვნის დამნაშავედ ჩამოყალიბებაზე, თუმცა ეს გავლენა მინიმალურია. არასრულწლოვნისთვის მნიშვნელოვანია მშობლების ყურადღება და მათთან ემოციური კავშირი, ამიტომ, ოჯახის დაშლის შემდეგ, თუ მშობლები შვილებთან კომუნკაციას არ წყვეტენ, ერთად აგვარებენ არსებულ პრობლემებს და ბავშვებთან ერთად ატარებენ თავისუფალ დროს, იმის შესაძლებლობა, რომ ბავშვი დელიქვენტად ჩამოყალიბდეს, ძალიან დაბალია.

ასევე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა გავლენა აქვს სკოლას ბავშვის დამნაშავედ ჩამოყალიბებაში. შეიძლება ითქვას, რომ ოჯახის შემდეგ, სწორედ სკოლას მიუძღვის უდიდესი წვლილი პიროვნების ჩამოყალიბებაში. სასურველია სკოლამ გარდა პროგრამული სწავლებისა არასრულწლოვანს მისცეს აღზრდა და განათლება დემოკრატიული პრინციპების დაცვით. ბავშვი აქ ყალიბდება პიროვნებად, სადაც უნდა შეიძინოს ის მორალური ღირებულებები, რომელთა საფუძველზეც წარმართავს თავის მომავალს. სკოლაშივე, ასაკიდან გამომდინარე, ბავშვი უფრო გააზრებულად დგამს სოციალიზაციის დამოუკიდებელ ნაბიჯებს სხვა თანატოლებთან თუ უფროსებთან, იძენს მეგობრებს, იწყებს საკუთარი თავის გამოვლენას, ეცნობა მორალურ ღირებულებებს და სწავლობს სხვებთან ურთიერთობაში მათ გამოყენებას.

ცნობილია ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნები, რომელებიც აკადემიურად წარუმატებლები არიან, სუსტი კავშირი აქვთ სკოლასთან, ხშირად იცვლიან სკოლებს ან გარიცხული არიან სკოლიდან, ალბათობის მაღალი ხარისხით გახდებიან დანაშაულის ჩამდენნი.

უდავოა არასრულწლოვნებზე გავლენის ეფექტი როგორც წამახალისებელი ან მაპროვოცირებელი ფაქტორი დანაშაულის ჩადენისა. მაგალითად, არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენაზე დიდ გავლენას ახდენს სამეგობრო წრე და მათი საქციელი. ე.სათერლენდის თეორის თანახმად, რომელიც მან 1947 წელს დაწერა, „დიფერენციალური კავშირის თეორიიდან“ გამომდინარე, დელინკვენტური ხასიათის შესწავლა ხდება არა სოციალურ-კულტურული ორგანიზაციის დონეზე, არამედ თანატოლებთან სოციალურ ურთიერთობებში. არასრულწლოვანი, რომელიც დაკავშირებულია დელიქვენტ თანატოლებთან, ალბათობის მაღალი ხარისხით, დაარღვევს კანონს, რადგან მოზარდი ისეთ შეხედულებებს სწავლობს სამეგობრო წრისგან, რომლებიც მისთვის მისაღებია. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ოჯახის წევრებთან

კონფლიქტური სიტუაციები ხშირად ხელს უწყობს მოზარდის ისეთ სამეგობრო წრეში ჩართვას, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობას მისდევს[16].

მოზარდის დღის რეჟიმის აუცილებელ და სავალდებულო ნაწილს შეადგენს თავისუფალი დრო. თავისუფალი დრო, ეს არის დღის ის მონაკვეთი, როცა ადამიანს არც ბიოლოგიური აუცილებლობა (ძილი, ავადმყოფობა) და არც მესამე პირისაგან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება უწევს (სკოლის მასწავლებელი, ოჯახის წევრი)[17]. არასრულწლოვანთა დანაშაულის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ მოზარდების მიერ ჩადენილ დანაშაულთა 80% მოდის მათ თავისუფალ დროზე, როცა ისინი არც სწავლობდნენ და არც მუშაობდნენ. მოცემული მაჩვენებლის საფუძველზე შეიძლება იმის თქმა, რომ დანაშაულს ძირითადად ის მოზარდები ჩადიან, რომლებიც თავისუფალ დროს ყოველგვარი კონტროლისა და გეგმის გარეშე ატარებენ. ეს გარემოება კი მათ ხელს უწყობს დრო ქუჩაში ხეტიალითა და „ქუჩის ავტორიტეტებთან“ დაახლოებით მოკლან, რასაც ხშირად ისინი დანაშაულის ჩადენამდეც კი მიჰყავს.

თავისუფალი დროის სწორად ორგანიზების საკითხზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადამიანის ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური განვითარება. ზრდასრული ადამიანი ვერ შეძლებს მიზანმიმართულად გამოიყენოს თავისუფალი დრო, თუ მას ეს ჩვევა ბავშვობიდანვე არ გამოუმუშავდა[18]. მნიშვნელოვანია, რომ მოზარდებმა თავისუფალი დრო მათთვის სასარგებლო საქმიანობაში გაატარონ იქნება ეს კითხვა, სპორტული აქტივობა, სეირნობა და ა.შ.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ერთ-ერთი მიზეზი აგრესია შეიძლება იყოს. ,,აგრესია“ ლათინური სიტყვაა და თავდასხმას ნიშნავს. აგრესია – ეს არის ადამიანის ბუნებრივი საპასუხო რეაქცია სხვა ადამიანის ქმედებაზე ან გარემო პირობებზე, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ფიზიკურ ან ფსიქიკურ კეთილდღეობას, ხოლო აგრესიულობა – ეს არის ადამიანის ხასიათის თვისება, მოქმედების სტრატეგია, რომლის დროსაც ადამიანი უფრო ხშირად ირჩევს აგრესიას, როგორც საპასუხო რეაქციას გარემოზე და სხვა ადამიანებზე.

არსებობს უამრავი მიზეზი, რომელმაც შეიძლება მოზარდში აგრესია განაპირობოს, ესენია:

ა. ყველაზე ხშირი და გამოკვეთილი მიზეზი აგრესიული ქცევისთვის არის ძალადობის განცდა ოჯახში; თუ ბავშვი იზრდება ისეთ გარემოში, სადაც აგრესიულობა ნორმაა შესაძლებელია შემდგომში იგი თვითონ გახდეს მოძალადე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ხშირად არის აგრესიის და ძალადობის განვითარების და შენარჩუნების ადგილი.

ბ. პროტესტი - ხშირად უფროსები ან თანატოლები აიძულებენ, უბრძანებენ ბავშვს მოიქცეს ისე, როგორც მას არ უნდა და ეს შეიძლება აგრესიის მიზეზი გახდეს;

---

[16] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისოსამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2011, 28.

[17] შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016, გვ. 29

[18] მამრიკაშვილი ნ, აღზრდა, როგორც დანაშულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმი, ქუთაისი, 2017, გვ. 66-67.

გ. ინფანტილიზმი - ხშირად აგრესიული მოზარდის ფსიქიკური და კალენდარული ასაკი არ ემთხვევა ერთმანეთს, ამ შემთხვევაში მას ჯერ არ აქვს გათვითცნობიერებული ქცევის ნორმები, რამაც შეიძლება აგრესია გამოიწვიოს;

დ. მოზარდის პათოლოგიური ხასიათი, მომატებული აგზნებადობა და კონფლიქტურობა.

აგრესიის გამოვლენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მშობლის არასაკმარისი ყურადღებაა და ხშირ შემთვევაში აგრესიული ქმედებით მოსაზრდი სწორედ ყურადღების მიპყრობას ცდილობს.

თავი III. არასრულწლოვანთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკანონმდებლო მოწესრიგება.

3.1. არასრულწლოვანის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება

2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის ძირითადი ნაწილი ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან. 2016 წლის 1 იანვრამდე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი ნორმები გათვალისწინებული იყო საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ასაკობრივ ზღვართან დაკავშირებით დაამკვიდრა ახალი სტანდარტები, კერძოდ, კოდექსი გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როცა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, არასრულწლოვანი მოწმე ან/და დაზარალებული. ამასთანავე, კოდექსი გამოიყენება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართაც. კერძოდ, კოდექსი მათ მიმართ გამოიყენება მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში (როდესაც 18-დან 21 წლამდე პირი ბრალდებულია), მასზე ვრცელდება აგრეთვე კოდექსის 38-ე – 48-ე მუხლები.

2016 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებულმა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა“ არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ჩამოაყალიბა სპეციფიკური მიდგომა და იგი ორიენტირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, კოდექსის მიზნად მიჩნეულია პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. გარდა ამისა, კოდექსის მიზნად მიიჩნევა არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, მართლწესრიგის დაცვა. როგორც მოცემული დებულებიდან ირკვევა, კანონმდებელი კოდექსის მიზნებს შორის პირველ ადგილზე აყენებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას. არასრულწლოვნის მიმართ გამოსაყენებელ სისხლისსამართლებრივ სანქციას აღმზრდელობითი ფუნქცია აქვს, განსხვავებით სრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ გამოსაყენებელი სასჯელისგან, რომელიც, დამნაშავის რესოციალიზაციის გარდა, სამართლიანობის აღდგენას და პრევენციას ემსახურება.

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები განმარტებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილით, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები არის არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და

არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ იძლევა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების ამომწურავ ჩამონათვალს და კანონის განმარტებას სამართალშემფარდებელს მიანდობს.

ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები არ არის სფერო, რომელიც ერთჯერადად უნდა შეფასდეს და იქნეს გამოყენებული. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება არის უნიკალური საქმიანობა, რომელიც უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად, თითოეული მოზარდის კონკრეტული გარემოებების შესწავლის შემდეგ[19].

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 ზოგად კომენტარში დასახელებულია არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინების საჭიროების ობიექტური საფუძვლები, მათ შორის აღსანიშნავია: სრულწლოვნებისგან განსხვავებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური განვითარების დონე, საგანმანათლებლო და ემოციური საჭიროებები. სწორედ აღნიშნული განსხვავებები წარმოშობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განცალკევებისა და მოზარდების მიმართ განსხვავებული მოპყრობის საჭიროებას.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის მნიშვნელობა რამდენიმე კონტექსტით შეიძლება იქნეს ახსნილი. პირველი საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც ცალკეული მუხლების განმარტებისათვის სახელმძღვანელო პრინციპი, რაც გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანებების არასრულწლოვნის სასარგებლოდ გადაწყვეტას გულისხმობს. მეორე საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი კონკრეტულ უფლებათა შორის წინააღმდეგობის არსებობისას, რაც არასრულწლოვნთა უფლებების კოლიზიის საკითხს აწესრიგებს არასრულწლოვნისათვის უფრო მეტად სასარგებლო გადაწყვეტილებისათვის მხარდაჭერის გზით. მესამე არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონშემოქმედებითი საქმიანობის მთავარი მოტივატორი[20].

---

[19] ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, 2017 გვ. 75

[20] შეყილაძე ხ. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის არსი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი , სამართლის ჟურნალი N2 2016 , უნივერსიტეტის გამოცემა. გვ. 272-273

3.2. სასჯელის სახეები

არასრულწლოვანთა სასჯელის სახეების განხილვამდე, მნიშნელოვანია განიმარტოს ზოგადად სასჯელის ცნება და მიზანი.

როგორც ლიტერატურაში ცნობილია, დანაშაული და სასჯელი ცალცალკე არ არსებობს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას". აღნიშნული მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცავს მართლწესრიგს დანაშაულებრივი ხელყოფისგან სასჯელის ან სხვა სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებით. ამ მიზნით სისხლის სამართლის კერძო ნაწილი განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედება ითვლება დანაშაულად და მისი ჩამდენისთვის აწესებს სასჯელს ან სხვა სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას. ამდენად, მხოლოდ კანონი განსაზღვრავს, რომელი ქმედება ჩაითვლება დანაშაულად და რა სახის სასჯელი შეეფარდება მის ჩამდენ პირს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ჰუმანიზმის პრინციპს ემყარება, რომლის ძალითაც სახელმწიფოს ეკრძალება დანაშაულის ჩამდენი პირისთვის იმაზე უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდება, რომელიც გამოიყენებოდა დანაშაულის ჩადენის დროს.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრებით, სასჯელი განმარტებულია, როგორც ,,სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეიძლება შეეფარდოს დანაშაულის ჩამდენ პირს"[21]. ამდენად, მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი, ცნოს პირი დამნაშავედ კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში და შემდეგ მას შეუფარდოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი სასჯელი. პირის დამნაშავედ ცნობა და მისთვის სამართლიანი სასჯელის შეფარდება სამოსამართლო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

სასჯელს გააჩნია ორი ნიშანი: 1. დამნაშავის უფლების შეზღუდვა, რომელიც კანონმდებლის მიერ დადგენილ წესს ექვემდებარება და 2. ამ უფლებების შეზღუდვის მიზნები, რომლებიც ასევე კანონითაა დადგენილი.

სისხლის სამართალში სასჯელის მიზნები განისაზღვრება სახელმწიფოს ფუნქციებითა და იმ ამოცანებით, რომელიც მის წინაშე დგას დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში. სასჯელის მიზნის ცნება შემდეგნაირად განიმარტება: ,,სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევისაკენ მიისწრაფვის სახელმწიფო თავის მიერ დადგენილი იძულებით ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით"[22].

არასრულწლოვნის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის თავისებურებანი განსხვავდება სრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან მთელი რიგი გარემოებებით.

---

[21] მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი, 2013, გვ. 353

[22] მ. ლეკვეიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი'', N4, გვ. 18

სრულწლოვანთა სასჯელის მიზნები განმარტებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად, სასჯელის მიზნებია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლით სასჯელის მიზნები განისაზღვრება აბსოლუტური და პრევენციული თეორიების სინთეზით. აბსოლუტური თეორიის მიხედვით, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ხოლო პრევენციული თეორიის მიხედვით კი - ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია[23].

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

ამდენად, თუკი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის პირველ მიზნად გათვალისწინებულია სამართლიანობის აღდგენა, შემდეგ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და ბოლოს დამნაშავის რესოციალიზაცია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, პირველ ადგილზეა არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და შემდგომ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

არასრულწლოვნის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია გულისხმობს მოზარდის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ასევე, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობას, პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, არასრულწლოვნის საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად მომზადებას[24].

ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც სასჯელის მიზანი, შედგება სამი კომპონენტისაგან: 1) პოტენციური დამნაშავის დაშინება; 2) დამნაშავის საზოგადოებისაგან იზოლაცია და 3) (ციხის პირობებში) დამნაშავის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი, მოკლევადიან პერსპექტივაში, კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის საზოგადოებისაგან იზოლაციით, მისთვის თავისუფლების აღკვეთით მიიღწევა. გრძელვადიანი პერსპექტივით, აუცილებელია სწორედ არასრულწლოვანი დამნაშავის რესოციალიზაცია, რათა მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული.

ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი პრევენციული ღონისძიებების განხორციელებით მიიღწევა. სწორედ პრევენციული ღონისძიებები უზრუნველყოფს, არასრულწლოვნის მიერ, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირებას[25]. დანაშაულის პრევენცია მიმართულია დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესუსტებაზე, მოზარდი სამართალდამრღვევების ქცევის გამოსწორებასა და არასრულწლოვნების მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისაგან თავშეკავებაზე.

---

[23] მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი, 2013, გვ. 354

[24] ვარძელაშვილი ი., სადისერტაციო ნაშრომი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ. 99.

[25] ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, სამართლის ჟურნალი "მართლმსაჯულება და კანონი №4 (43) 14", თბილისი, 2014, გვ. 23

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განსაკუთრებული როლი სასჯელებს აკისრია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 66-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვან დამნაშავეს შეიძლება დაენიშნოს სასჯელის შემდეგი სახეები: ა) ჯარიმა; ბ) შინაპატიმრობა; გ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; დ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; ვ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

ჯარიმა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი, რომლის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი, ხოლო თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები. როგორც ვხედავთ კანონმდებლის მიერ განსაზღვრულია ჯარიმის ოდენობის მინიმუმი, ხოლო მაქსიმუმი არ არის მითითებული. ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით. ამდენად, ჯარიმა უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და მსჯავრდებულის ეკონომიკურ შესაძლებლობებს. იგი ინიშნება, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ეს სასჯელი შეიცვლება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად, არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან. არასრულწლოვნისთვის ჯარიმის დანიშვნისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი მინიმალური ოდენობა ნახევრდება.

საგულისხმოა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში პირდაპირ არაა მითითებული თანხის ოდენობა. იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ არასრულწლოვნისთვის ჯარიმის დანიშვნისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი მინიმალური ოდენობა ნახევრდება საბოლოოდ არასრულწლოვნებისთვის დაწესებულია მინიმალურად 1000 ლარის ჯარიმა, თუმცა, ისევე, როგორც სრულწლოვნების შემთხვევაში, არ არის მაქსიმალური ზღვარი დაწესებული.

გერმანიის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ იცნობს სასჯელის სახედ ჯარიმას. მოცემული სასჯელი გათვალისწინებულიაო მხოლოდ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში. ჯარიმის დაკისრება ხდება პირის დღიური ანაზღაურების მიხედვით და მოიცავს მინიმალური ოდენობით 5 დღის ანაზღაურებას, ხოლო მაქსიმალური - 360 დღის[26]. ამ შემთხვევაში ხდება კანონის დამრღვევის შესაბამისად დასჯა, გათვალისწინებულია პირის ეკონომიკური მდგომარეობა და ხდება პროპორციულობის პრინციპის დაცვა.

ჯარიმას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ასპექტები. ჯარიმის დადებითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ იგი თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივაა. იგი წარმატებით ცვლის მოკლევადიან თავისუფლების აღკვეთას, რადგან მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა

[26] StGB § 40

სასჯელის მიზნის მიღწევას (რესოციალიზაციას და სამაგიეროს მიზღვას) არ ემსახურება. ჯარიმის ნეგატიური მხარე მდგომარეობს იმაში, რომ განაჩენში მითთებული თანხა მსჯავრდებულის მაგიერ სხვა პირმაც შეიძლება გადაიხადოს[27].

ჯარიმა, როგორც ეფექტური სასჯელის სახე მთლიანად ეხმიანება სასჯელის გარდუვალობის პრინციპს, მსჯავრდებულს უნდა დაენიშნოს მისი ქმედების შესაბამისი, პროპორციული და სამართლიანი სასჯელი[28].

ჯარიმის დაკისრებისას, პირი სახელმწიფოს უხდის გარკვეულ თანხას განსაზღვრული უპირატესობის მიღების მიზნით, აღნიშნულს წარმოადგენს ის,რომ არ მოთავსდება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და დაეხმარება სახელმწიფოს მისი შენახვის ხარჯების საპირისპიროდ[29].

ჯარიმა ეფექტურია რამდენიმე გარემოების გამო: 1. არ ხდება მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლაცია. 2. არ იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მსჯავრდებულის შენახვის ხარჯები, 3. სახელმწიფო იღებს მატერიალურ სარგებელს, 4. ჯარიმა გარკვეულწილად ეკონომიკურად ასუსტებს მსჯავრდებულის, რაც პრევენციულადაც მოქმედებს მასზე[30].

შინაპატიმრობა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის თანახმად:

1. შინაპატიმრობა ნიშნავს არასრულწლოვნისთვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას.

2. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ენიშნება 6 თვიდან 1 წლამდე ვადით.

3. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

4. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

5. შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. ელექტრონული ზედამხედველობის გამოუყენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო.

გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით არსებობს შინაპატიმრობის რამდენიმე ფორმა: 1)CURFEW (მსუბუქი ფორმა), რაც გულისხმობს წინასწარ განსაზღვრული დროის მანძილზე სახლში ყოფნის ვალდებულებას, ბუნებრივია საუბარია არის ღამის საათებზე, რადგან რისკ

[27] სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში/ საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, გვ 676, თბილისი, 2016

[28] სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ.487.

[29] პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999, გვ.426.

[30] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ.42-43.

ფაქტორები ამ დროს გაცილებით მაღალია ახალი დანაშაულის ჩადენის ან უბრალოდ კრიმინალ ჯგუფთან დახლოების, 2)HOME DETENTION (ამ ფორმის გამოყენების დროს პიროვნება სახლიდან მხოლოდ აუცილებელ აქტივობებში სამონაწილეოდ გადის, როგორიცაა სკოლა, თერაპია, ფსიქოლოგთან ვიზიტი და ა.შ), 3)HOME INCARCERATION (ამ ფორმის გამოყენების დროს პირს უფლება არ აქვს სახლი საერთოდ დატოვოს და შესაბამისად არც სტუმრები მიიღოს), რაც პრაქტიკულად საპატიმრო სასჯელის სახეს იღებს, იმ განხვავებით, რომ მოცემული სასჯელის მოხდის ადგილი სახლია და არა პენიტენციური დაწესებულება.

შინაპატიმრობის აღსრულება ამკ-ს 69-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით დაკავშირებულია ე.წ ელექტრონული სამაჯურის არსებობასთან. შესაბამისად „ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება უმთავრეს რეგულაციას წარმოადგენს.

როდესაც შინაპატიმრობის აღსრულების თემას ვეხებით საქართველოში არ შეიძლება არ ვახსენოთ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც არეგულირებს არამარტო შინაპატიმრობის გამოყენებისა და აღსრულების ნორმებს, არამედ სხვა არასაპატიმრო სასჯელთა განხორციელებასაც. ამ კანონის 44[8] მუხლში უშუალოდ განხილულია შინაპატიმრობის აღსრულების წესი, რომლის მე-6 პუნქტიც ადგენს, რომ მოცემული სასჯელის გამოყენება, როგორც წესი ხორციელდება ელექტრონული სამაჯურის სისტემით. თუმცა ასევე არსებობს შინაპატიმრობის კონტროლის პასიური ფორმებიც, რომლებსაც ეხება ამავე მუხლის მე-8 პუნქტი, რომელიც ადგენს, პრობაციის ოფიცრის გაუფრთხილებელი ვიზიტის აუცილებლობას, მაშინ როდესაც ელექტრონული მონიტორინგი პრაქტიკულად შეუძლებელია. მოცემული მუხლის მეცხრე ნაწილის თანახმად, საპატიო პირობების არსებობის შემთხვევაში მსჯავრდებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული თხოვნის საფუძველზე პირს შეიძლება მიეცეს სახლის გარკვეული დროის განვმალობაში დატოვების უფლება. წინამდებარე მუხლის მე-10 პუნქტი კი შესაძლებლობას უშვებს, რომ შინაპატიმრობის აღსრულება დაკავშირებული იყოს ფულად ანაზღაურებასთან, კერძოდ მსჯავრდებულის მიერ მოხდეს გარკვეული თანხის ჩარიცხვა პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშზე, რაც დაკავშირებული იქნება მოცემული სასჯელის მიზნების განხორციელებასთან. თუმცა ამ გადასახადისგან თავისუფლდება პირი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საარსებო შემწეობის მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულას არ აღემატება.

საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ენიშნება ერთი წლიდან სამ წლამდე ვადით.

მოცემული სასჯელი საკმაოდ იშვიათად გამოიყენება. თუ არასრულწლოვანი დასაქმებულია, სასჯელის ამ ფორმის გამოყენებამ იგი ფინანსური და სოციალური პრობლემების წინაშე არ უნდა დააყენოს. მართალია იშვიათია, რომ არასრულწლოვანი ფლობდეს ისეთ უნარებს, რაც მას გარკვეული პროფესიის, თუ საქმიანობის განხორციელების საშუალებას მისცემდა, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში არასრულწლოვნისათის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

პრაქტიკულად მის შემოსავლის გარეშე დატოვებას გულისხმობს. შემოსავლის გარეშე დატოვებამ კი შესაძლოა წარმოშვას ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი, რაც ფინანსური მდგომარეობის აღდგენისკენ იქნება მიმართული.

სასჯელის სახით საქმიანობის უფლების ჩამორთმევის აღსრულება ხდება დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის VI თავის შესაბამისად (მუხლი 25, 26, 27).

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს განაჩენის ასლი აღსასრულებლად გადაეცემა პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით. პრობაციის ოფიცერს მსჯავრდებული აჰყავს აღრიცხვაზე, განუმარტავს მას სასჯელის მოხდის წესებს და პირობებს, პერიოდულად აკონტროლებს მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

თუ პრობაციის ოფიცერი დაადგენს, რომ მსჯავრდებულს დაკავებული აქვს ის თანამდებობა ან ეწევა ისეთ საქმიანობას, რომელიც აკრძალული აქვს განაჩენით, იგი დამსაქმებელ თანამდებობის პირს უგზავნის მოთხოვნას, გაათავისუფლოს მსჯავრდებული დაკავებული თანამდებობიდან ან აუკრძალოს მას განაჩენში მითითებული საქმიანობა.

თუ დამსაქმებელი თანამდებობის პირი პრობაციის ოფიცრის მოთხოვნის მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში არ გაათავისუფლებს მსჯავრდებულს დაკავებული თანამდებობიდან ან არ შეუცვლის მას საქმიანობის სფეროს, შესაბამისი მასალები გადაეგზავნება პროკურატურის ორგანოს.

დამსაქმებლის ადმინისტრაცია, სადაც მსჯავრდებული მუშაობს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის განაჩენით, ვალდებულია: განაჩენის ასლისა და პრობაციის ბიუროდან მსჯავრდებულის თანამდებობიდან გათავისუფლების, ან მისთვის საქმიანობის აკრძალვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა აცნობოს პრობაციის ბიუროს მიღებული ზომების თაობაზე; პრობაციის ბიუროს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია სასჯელის აღსრულებასთან; მსჯავრდებულთან შრომითი ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის თაობაზე 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს პრობაციის ბიუროს.

გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ განაჩენის მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა იმ ორგანოსთვის, რომელიც უფლებამოსილია გააუქმოს გადაწყვეტილება გარკვეული საქმიანობის უფლების მინიჭების თაობაზე.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

ამკ-ს 71-ე მუხლი ეხება არასრულწლოვნის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას:

1. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ენიშნება 40-დან 300 საათამდე ვადით. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს.

2. თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის ან მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო მეტი ვადითაც დაინიშნოს. დამატებით სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო ნაკლები ვადითაც დაინიშნოს.

3. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

4. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას სასურველია, არასრულწლოვანი მსჯავრდებული სამუშაოდ ისეთ ადგილზე გამწესდეს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს.

5. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დამატებით სასჯელად შეიძლება დაენიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით სასჯელის სახედ გათვალისწინებული არ არის.

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა გულისხმობს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან სამას საათამდე ვადით, ყოველდღიურად შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ საათს. იგი შეიძლება დაინიშნოს, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შემთხვევაში ანდა თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც.

უპირატესობა, რაც საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას განასხვავებს სხვა სასჯელებიდან, არის რესოციალიზაციის უკეთესი პერსპექტივა და სასჯელის ეკონომიის პრინციპი. „ციხეების გადატვირთულობის გამო „პიროვნებაზე დაწესებულმა მეთვალყურეობამ მას უნდა შეუქმნას თავისუფლების აღმკვეთი ილუზია“, ასე იქმნება ახალი პენოლოგია ზედამხედველობასა და დასჯას შორის, მისი ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი კი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაა. ბრალდებულს უქმნიან გარემოს, რომ არ მოხდეს ახალი დანაშაულის ჩადენა (incapacitation), მაგრამისე, რომ არ შეილახოს მისი პიროვნული ღირსება ცუდი მოპყრობით.“[31]

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1992 წლის 19 ოქტომბერს მიღებული „ევროპული წესები საზოგადოების სანქციებისა და ზომების შესახებ“ მიიჩნევს, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ეს არის გამასწორებელი, პოზიტიური და ე.წ თერაპიული სანქცია. მისი აქტიურად გამოყენების მიზეზია ის, რომ ყველა ქვეყანაში რაც შეიძლება ნაკლები პატიმარი იყოს და არ მოხდეს მათი საზოგადოებისგან გარიყვა. ამასთან, მსჯავრდებულის შრომა წარმოადგენს დიდ შრომით რესურსს, როგორც სახელმწიფო, ისე არაკომერციული ორგანიზაციებისთვის.[32]

სასარგებლო შრომა არ გულისხმობს ისეთი სამუშაოს შესრულებას, რომელიც ადამიანის ფიზიკურ ტანჯვას იწვევს ან ღირსების შემლახველია. იგი შეიძლება გამოიხატოს სკვერების დალაგებაში, მცენარეთა დარგვაში, სამშენებლო სამუშაოების წარმოებაში და ა.შ. [33]

---

[31] ხერხეულიძე ი, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა- არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი (საქართველოსა და აშშ-ს სისხლისამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი). მართლმსაჯულება და კანონი, #2 (29) 11, გვ. 119

[32] ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, (შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი-85, საიუბილეო კრებული, თბ., 2014,გვ. 28.

[33] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ.497

შრომის სახე მსჯავრდებულის ცხოვრების რიტმზე უნდა იყოს მორგებული, მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს არასრულწლოვანის მიერ ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას სასურველია, არასრულწლოვანი მსჯავრდებული სამუშაოდ ისეთ ადგილზე გამწესდეს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს.

რაც შეეხება საკითხს, შრომის რა სახე უნდა იყოს გამოყენებული, რეკომენდებულია იგი არ იყოს დაკავშირებული მსჯავრდებულის ძირითად საქმიანობასთან, რითაც ეს სარგებელს იღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ნაკლებეფექტური იქნება.[34]

არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების ღონისძიებებს არეგულირებს 2007 წლის 19 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი ,,დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ". საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის აღსრულებას უზრუნველყოფენ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო და სააგენტოს ტერიტორიული ორგანოები - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროები.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შესახებ სასამართლო განაჩენის ასლის ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების ასლის აღსასრულებლად მიღების შემდეგ პრობაციის ბიურო მსჯავრდებულს განუსაზღვრავს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახესა და ყოველდღიურ ხანგრძლივობას. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით დანიშნული სასჯელი აღსრულდება საჯარო დაწესებულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, შესასრულებელი სამუშაოს საზოგადოებისთვის სასარგებლო ხასიათიდან გამომდინარე, სასჯელი შეიძლება აღსრულდეს კერძო სამართლის იურიდიულ პირში. პრობაციის ბიუროსა და დამსაქმებელს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც მიეთითება მსჯავრდებულის მიერ შესასრულებელი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახე, მთლიანი ვადა, ყოველდღიური ხანგრძლივობა, სამუშაო ადგილი, დამსაქმებლის დასახელება და მისამართი, აგრეთვე საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებები. ამ ხელშეკრულების ასლი გადაეცემა მსჯავრდებულს.

დასახელებული კანონის 30-ე მუხლით დადგენილია სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის მოხდის პირობები, კერძოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება შესრულდეს დღის ნებისმიერ მონაკვეთში. ამასთან, მსჯავრდებულს თავისი სურვილით, სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში, უფლება აქვს საზოგადოებისათვის სასარგებლოდ იმუშაოს დასვენების დღეებში.

პრობაციის ოფიცერი პერიოდულად აკონტროლებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის, შესრულებული სამუშაოს შესრულებას. თუ მსჯავრდებული უარს აცხადებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე ან ჯიუტად თავს არიდებს მას, პრობაციის ბიუროს უფროსი ამ კანონით დადგენილი წესით მიმართავს სასამართლოს წარდგინებით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სასჯელის სხვა სახით შეცვლის შესახებ.

---

[34] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელები და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ.49

ვადიანი თავისუფლების აღკვეთა

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით დაცულია ადამიანის თავისუფლება. ადამიანის თავისუფლების უფლება არ წარმოადგენს აბსოლიტურ უფლებას და მიეკუთვნება უფლებათა იმ კატეგორიას, რომლის შეზღუდვაც დასაშვებია. ამასთან, უფლების შეზღუდვა აუცილებელია განხორციელდეს კანონით მკაფიოდ განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლაციას და მის მოთავსებას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. სასჯელის ეს სახე დღემდე რჩება კოდექსებში ყველაზე ხშირად გათვალისწინებულ სასჯელად უფრო მძიმე დანაშაულებისთვის. თავისუფლების აღკვეთა გათვალისწინებულია ყველა კანონმდებლის მიერ, რადგან მოცემულ მომენტში და სამომავლოდაც მხოლოდ ის უზრუნველყოფს „ბოროტთმოქმედთა ნეიტრალიზებას"[35].

არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთა მოცემულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლში - ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება მასზედ, რომ სათაური „ვადიანი თავისუფლების აღკვეთა“ არასწორია, ვინაიდან არასრულწლოვნების მიმართ არ გამოიყენება უვადო თავისუფლების აღკვეთა. ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენების აუცილებლობა იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ კოდექსში გამოყენებული იქნებოდა უვადო თავისუფლების აღკვეთაც[36].

სასჯელის მოცემული სახე წარმოადგენს ყველაზე მკაცრ სასჯელს, ამასთან ის არასრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად. ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის 37-ე მუხლის ,,ბ“ პუნქტის ბოლო წინადადების თანახმად, დაპატიმრება, დაკავება ან დატუსაღება ხორციელდება კანონის თანახმად და გამოიყენება მხოლოდ უკიდურეს ზომად და დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში[37].

ანალოგიურ მიდგომას ითვალისწინებს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-9 მუხლიც, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი. ამასთან, არასრულწლოვნის დაკავება და დაპატიმრება, მისთვის თავისუფლების შეზღუდვა და თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად: 1. არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ანდა მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი; 2. 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/3-ით მცირდება. ამასთანავე, საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს; 3. 16-დან 18 წლამდე ასაკის

[35] პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999, გვ. 423

[36] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე. გვ 147, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016

[37] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 37-ე მუხლის „ბ“ პუნქტი.

არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/4-ით მცირდება. ამასთანავე, საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს; 4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები გამოიყენება ამ კოდექსის 76-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის მიუხედავად.

თავისუფლების აღკვეთის მიზანია დამნაშავეთა გამოსწორება და ახლებური სოციალური აღზრდა[38]. ამასთანავე, გარკვეულწილად, ამ სასჯელის მიზანია საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, პოტენციურად საშიში დამნაშავეების იზოლირებითა და ზედამხედველობით. ძალიან იშვიათ შემთხვევებში ხდება არასრუწლოვნების მიერ ასეთი სახის დანაშაულის ჩადენა. შესაბამისად, შანსი იმისა, რომ მხოლოდ და მხოლოდ სასჯელის ეს სახე უზრუნველყოფს მთავარი და განსაკუთრებული მიზნის აღსრულებას, წარმოუდგენელიც კია. პირიქითაც კი, ზუსტად თავისუფლების აღკვეთამ შესაძლოა განსაკუთრებულად იმოქმედოს არასრულწლოვანზე, რაც ვერ დაბალანსდება განსხვავებული მოპყრობითი ან პირობებით[39].

სასჯელის სახით არასრულწლოვნის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ხდება: ა. თუ არასრულწლოვანმა ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული; ბ. ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს; გ. მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი. ნორმის დათქმიდან გამომდინარე, ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ამ სასჯელის გამოყენება დაუშვებელია. კანონის დათქმა - თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი - პირდაპირ ეწინააღდეგება კოდექსის მე-12 მუხლის ჩანაწერს. კერძოდ, მითითებული მუხლი ადგენს ქცევის შემდეგ წესს: არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას - გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე. აღნიშნულთან დაკავშირებით ი. ვარძელაშვილი გამოთქვამს საკმაოდ მოსაზრებას, რომ „წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი“-ის ნაცვლად უმჯობესია მითითება იყოს „ნასამართლევი იყო“. ვინაიდან, „წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში შეიძლება მივიღოთ, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით სწორი არ იქნება“[40.] დანაშაული, რომლისთვისაც პირმა უკვე აგო პასუხი და მოიხადა სასჯელი, არ უნდა იქნეს გახსენებული და არ შეიძლება იყოს სამომავლო სასჯელზე ზეგავლენის მომხდენი გარემოება, მით უფრო იმ პირობებში როდესაც საქმე გვაქვს არასრულწლოვანთან, რომლისთვისაც სპეციალურად დანერგილი იქნა ლიბერარული მიდგომები და განცალკვებული ნორმები.

ამკ-ის 73-ე მუხლი ადგენს სპეციალურ წესებს არასრულწლოვნების შემთხვევაში რა არის სასჯელის მაქსიმალური ვადა და რამდენად უნდა შემცირდეს დანიშნული სასჯელი. კერძოდ, 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/3 -ით მცირდება და საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს, მსგავსი პრინციპი მოქმედებს 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთის ვადა მცირდება 1/4 - ით და საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს.

---

[38] არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა/ სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, თ. მახარობლიძე, გვ. 74. თბილისი, 2017.

[39] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ქ. ჰამილტონი, გვ 114, თბილისი, 2011.

[40] ვარძელაშვილი ი, არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი), არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, გვ. 153

საინტერესო სტატისტიკურ მონაცემი იმასთან დაკავშირებით თუ, არასრულწლოვანთა რამდენ პროცენტს ენიშნება სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა. 2013 წელს 456 მსჯავრდებულიდან დაახლოებით 25%-ს დაენიშნა სასჯელის ეს უმძიმესი სახე, 2014 წელს - 27%-ს. ბოლო წლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2016 წელს დაფიქსირდა - მსჯავრდებული არასრულწლოვნების 31%-ს აღეკვეთა თავისუფლება. 2017-2018 წლებში პროცენტული წილი 22-23%-ს შეადგენს.

2020 წლის 4 თვის ანგარიშებით, არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების სტატისტიკა 20%-ს შეადგენს[41].

[41] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika

3.3. სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები

განრიდება და მედიაცია სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმებია, რომელიც საქართველოში დაინერგა 2010 წელს, როდესაც ამოქმედდა არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა.

მედიაცია მოლაპარაკების პროცესია, რომელსაც უძღვება მიუკერძოებელი მესამე მხარე მედიატორი. „მედიაციის ცნება პირველად გამოიყენებოდა სამოქალაქო სამართლის კუთხით და გულიხმობდა განქორწინების დროს მესამე პირის მეშვეობით საქმის მოგვარებას. კრიმინალურ მეცნიერებაში მედიაცია სწორედ კერძო სამართლიდან შემოიჭრა და გულისხმობს კონფლიქტის მენეჯმენტს. გერმანელი კრიმინოლოგები მედიაციას მიიჩნევენ ისეთ სხვადასხვა სახის ღონისძიებათა და რეაბილიტაციის ფორმად, რომლის მიზანი დანაშაულიდან წარმოშობილი დავის მოგვარებაა[42].“

მედიაციის პროცესში არ არსებობს გამარჯვებული მხარე, იგი დავის გადაწყვეტის იმ ალტერნატიულ საშუალებად გვევლინება, რომელიც დავის მოგვარებას შეთანხმების მიღწევის გზით ჰპირდება მხარეებს. აღნიშნული თვისება შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ მიზეზად იმისა, რომ მედიაცია აღიარებულია საუკეთესო საშუალებად ისეთი საქმეების გადასაწყვეტად, სადაც დამნაშავედ არასრულწლოვანი ბრალდებული გვევლინება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (მესამე მუხლის მე-9 ნაწილი) მედიაციას შემდეგნაირად განმარტავს: მედიაცია არის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტა. მედიაციის პროცესში მონაწილეობს აგრეთვე არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი ან/და სხვა პირი. სურვილის შემთხვევაში ამ პროცესში მონაწილეობის მიღება პროკურორსაც შეუძლია.

მედიაციის პროცესი სამი ძირითადი ეტაპისაგან შედგება, მოსამზადებელი, წინასაკონფერენციო ეტაპი და მედიაციის კონფერენცია. მოსამზადებელ ეტაპზე მედიატორის ფუნქციაა სპეციალური უნარჩვევების გამოყენებით ხელი შეუწყოს პროცესის დაწყებას. ამ ეტაპზე იგი ხვდება დაზარალებულს და აცნობს მას პროგრამის შესახებ ინფორმაციას, განუმარტავს პროგრამის არსს, მიზნებს, პრინციპებს და უხსნის პროგრამის დადებით მხარეებს, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების საკითხის მედიაციის პროცესში შეთანხმებისშესაძლებლობას. დაზარალებულს განემარტება, რომ მისი უარი მედიაციაში მონაწილეობაზე, არ აბრკოლებს განრიდების პროცესს, თუმცა მნიშვნელოვანია პროცესის მედიაციით წარმართვა არა მხოლოდ დაზარალებულის ინტერესების დაკმაყოფილებისათვის, არამედ იმისათვის, რომ ეს პროცესი დაეხმაროს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს გააცნობიეროს თავისი კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგები და აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე.

წინასაკონფერენციო ეტაპზე მედიატორი ცალ-ცალკე ხვდება დამზარალებელსა და დაზარალებულს, ამზადებს მათ მედიაციის საერთო შეხვედრისათვის, მუშაობს მხარეთა საჭიროებების იდენტიფიცირებაზე, წარმართავს მოლაპარაკების პროცესს, აწვდის დეტალურ

[42] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრანქფურტი, სტრასბურგი, 2016, გვ. 107

ინფორმაციას ხელშეკრულების სავარაუდო პირობების თაობაზე და ათანხმებს ამ პირობებს მათთან. ამ ეტაპზე მისი ამოცანაა უზრუნველყოს მხარეთა ნებაყოფლობითი და ინფორმირებული მონაწილეობა მედიაციის პროცესში და მიაღწიოს მხარეთა შორის კონსესუსს მედიაციის ხელშეკრულების სავარაუდო პირობებთან დაკავშირებით. დაზარალებულის ჩართულობა მედიაციაში უზრუნველყოფს მის აქტიურ მონაწილეობას ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების ფორმის განსაზღვრაში. ხოლო კონფერენციის მსვლელობისას, დაზარალებულს ექნება შესაძლებლობა გაესაუბროს დამზარალებელს, დაუსვას შეკითხვები და გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ.

მოსამზადებელი და წიანსაკონფერენციო ეტაპების შემდგომ, დასკვნით ეტაპზე, მედიატორი წარმართავს მედიაციის საერთო შეხვედრას (ე.წ. მედიაციის კონფერენცია), რა დროსაც დამზარალებელი და დაზარალებული პირადად ხვდებიან ერთმანეთს. მედიაციის საერთო შეხვედრაზე მხარეებს საშუალება ეძლევათ ისაუბრონ თავიანთი დამოკიდებულებებისა და ემოციების შესახებ დანაშაულთან დაკავშირებით. ხშირად, დაზარალებულებს კიდევ ერთხელ დაზარალების შიში აქვთ, იმ ადამიანისაგან, რომელმაც უკვე დააზარალა. ზოგჯერ უჭირთ იმის გაცნობიერება, რომ დამზარალებელი ჩვეულებრივი მოქალაქეა, რომელმაც შესაძლოა დაუშვა შეცდომა და ინანიებს ჩადენილ ქმედებას. ცალკეულ შემთხვევებში, დაზარალებულებს აქვთ არაერთი კითხვა, როგორც წესი, პირველი კითხვა არის: რატომ მაინც და მაინც მე?. ეს პროცესი თავის მხრივ, ეხმარება დამზარალებელს, გააცნობიეროს მის მიერ ჩადენილი ქმედების რეალური შედეგები და აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, მათ შორის, დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. მედიაციის საერთო შეხვედრაზე განიხილება უშუალოდ დანაშაულის შემთხვევა და შეხვედრის მონაწილისათვის არ შეიძლება მიუღებელი იყოს შეხვედრის მონაწილე, მიუღებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ჩადენილი ქმედება.

მედიაციას, როგრც უკვე ავღნიშნეთ, უძღვება დამოუკიდებელი მესამე პირი ანუ მედიატორი. მედიაციის პროცესი მიმდინარეობს დაზარალებულსა და არასრულწლოვანს შორის და ამ პროცესის მიზანია შეთანხმება დასრულდეს მორიგებით და კონფლიქტის საბოლოოდ გადაჭრით. მედიაციის პროცესში, მედიატორის გარდა, მონაწილეობის უფლება აქვთ: არასრულწლოვანის კანონიერ წარმომადგენელს, პროკურორს, სოციალურ მუშაკს. არის შემთხვევები, როდესაც პროცესში მონაწილეობის უფლება სხვა პირებსაც გააჩნიათ. განვიხილოთ თითოეული ცალცალკე.

მედიაციის კონფერენციას წარმართავს **მედიატორი** - ნეიტრალური, დამოუკიდებელი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, პროფესიონალი, რომელიც შესაბამისი მეთოდიკის გამოყენებით ცდილობს მხარეთა რეალური (და არა მხოლოდ სამართლებრივი) ინტერესების გამოვლენას, მათ ერთმანეთთან დაახლოებას და ამ გზით ორივე მხარისათვის სამართლიანი, ღირსეული და მომგებიანი შედეგის მიღწევას.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად: მედიატორები, რომლებიც მოწვეულნი არიან საზოგადოების ყველა წრიდან, უნდა ფლობდნენ კარგ ცოდნას ადგილობრივი კულტურისა და საზოგადოების შესახებ. სამედიატორო უფლებამოსილების განხორციელებამდე მედიატორები გადიან ტრენინგებს, რომელთა მიზანია მაღალი დონის ცოდნის მიწოდება ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: კონფლიქტის მოგვარების უნარები, სპეციფიკური მოთხოვნები დაზარალებულებსა და დამნაშავეებთან მუშაობისათვის და ძირითადი ცოდნა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ.

„მედიატორი მედიაციის განხორციელების პროცესში უნდა იყოს: ნეიტრალური და არა (რომელიმე მხარისადმი) მიკერძოებული; მხარეების ინტერესების მკვლევარი და არა (რომელიმე მხარის) ინტერესების წარმომადგენელი; მედიაციის პროცესზე პასუხისმგებელი; კრეატიული და არა – პრეტენზიული; მონაწილეთა პიროვნების პატივისმცემელი და არა ყველა საშუალების გამოყენებით შედეგზე ორიენტირებული, კომუნიკაბელური და არა – ჩაკეტილი; მომთმენი და არა – სულსწრაფი. სანამ მედიაცია დაიწყება, მედიატორები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საქმის ირგვლივ არსებული ყველა შესაბამისი ფაქტის შესახებ და მათ უნდა მიეწოდოთ საჭირო დოკუმენტები შესაბამისი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოთა მიერ. მედიაცია უნდა წარიმართოს მიუკერძოებლად და უნდა ეფუძნებოდეს საქმის შესახებ ფაქტებს და მხარეთა საჭიროებებს ისევე, როგორც მათ სურვილებს. მედიატორი უნდა იყოს ყურადღებიანი მხარეთა მოწყვლად ფაქტორებზე. მედიაცია უნდა განხორციელდეს ეფექტურად, მაგრამ იმ ტემპით, რომ მხარეთათვის იყოს მოსახერხებელი [43]“.

მედიატორის საქმიანობა რეგულირებულია „განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესისა და სამუშაო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე“ #384/ს ბრძანებით.

პროკურორი/სოციალური მუშაკი

ლეგალურობის პრინციპის მიხედვით პროკურატურა, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა, წყვეტს საკითხს მიიღოს თუ არა არასრულწლოვანმა მონაწილეობა მედიაციაში. პროკურორი სისხლის-სამართლებრივი დევნის დაწყების/არდაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჯარო ინტერესს[44].

მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიღებს განრიდების წინასწარ გადაწყვეტილებას, არასრულწლოვნის მიმართ განრიდების პროცესის დაწყების შესახებ დადგენილების გამოტანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ის, მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს სოციალური მუშაკისათვის კონკრეტული საქმის წარმოებაში გადაცემის მიზნით. თუ საქმეში ფიგურირებს დაზარალებული, პროკურორი აღნიშნულ მიმართვაში ასევე ითხოვს განრიდებისა და მედიაციის საქმეზე მედიატორის გამოყოფას. სააგენტო მოცემულ საქმეს 2 სამუშაო დღის ვადაში გადასცემს სოციალურ მუშაკს და თუ საქმეში ფიგურირებს დაზარალებული, ასევე მედიატორს.

რაც შეეხება არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში სოციალური მუშაკის მონაწილეობას, მიზნად ისახავს არასრულწლოვნის/21 წლის ასაკამდე სრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებების, მისი უნარებისა და სოციალური გარემოს შესწავლას, რაც საფუძვლად უდევს განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების პირობების შემუშავებას. როგორც უკვე ვთქვით, განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, პროკურორი დაუკავშირდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო

[43] შალიკაშვილი მ., მიქაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 116.

[44] შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, 52

სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს და გადასცემს არასრულწლოვნის/21 წლის ასაკს მიუღწეველი სრულწლოვნის საქმეს. სააგენტო უზრუნველყოფს საქმის სოციალური მუშაკისთვის გადაცემას.

სოციალური მუშაკი შეიმუშავებს განსარიდებლის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, რომელშიც სხვა გარემოებებთან ერთად მიეთითება განსარიდებლის საჭიროებების შესახებ, თუ რა კონკრეტული პირობების შესრულება იმოქმედებს დადებითად არასრულწლოვანზე და შეუწყობს ხელს მის რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე პროკურორი სოციალურ მუშაკთან ერთად ადგენს ხელშეკრულების პირობებს. მედიაციის შემთხვევაში, მედიატორი უზრუნველყოფს ხელშეკრულების პირობების ჩამოყალიბებას პროკურორთან და სოციალურ მუშაკთან შეთანხმებით. განრიდების პროგრამების ეფექტიანობის ერთ-ერთი განმაპირობებელი გარემოება სწორედ ის არის, რომ არცერთი პროფესიონალი, ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში, არ არის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებაზე უფლებამოსილი. პირობების ჩამოყალიბებისას პროკურორი, სოციალური მუშაკი და მედიატორი ითვალისწინებენ დაზარალებულის ინტერესს და მოქმედებენ არასრულწლოვნის/21 წლამდე ასაკის სრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

დაზარალებული

არ არსებობს დანაშაული მსხვერპლის გარეშე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. სისხლის სამართალში დაზარალებული შეზღუდული უფლებებით სარგებლობს, მედიაციის პროგრამის დროს კი იგი აქტიურად ერთვება პროცესში და ეძლევა საშუალება მისი აზრი უფრო მეტად იქნას გათვალისწინებული.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი/ მისი კანონიერი წარმომადგენელი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისთვის, არასრულწლოვანი არის პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის განმარტებას კი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი იძლევა ,,18 წლამდე ასაკის პირი, რომლის მიმართაც: ა) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული; ბ) შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, მან ჩაიდინა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, 45^1 და 100^2 მუხლებით, 116-ე მუხლის მე-9 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 123-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 150-ე მუხლის 2^2 ნაწილით, 153^3 მუხლის მე-2 ნაწილით, 153^6 მუხლის მე-2 ნაწილით, 155^2, 157-ე და 166-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 173-ე მუხლით, 174^1 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 174^{15} მუხლის მე-4 ნაწილით, 175^2, 177^1 და 178-ე მუხლებით და 181^1 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა; გ) გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი ან ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება.

არასრულწლოვნის მონაწილეობა მედიაციის პროცესში უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. კონფერენცია, რომელიც აღმზრდელობითი/პედაგოგიური ხასიათს ატარებს, მიზნად ისახავს

არასრულწლოვნის გამოსწორებას სისხლის სამართლის საქმის წარმოების გარეშე. იგი საშუალებას აძლევს მედიაციის მონაწილეებს, დაფიქრდნენ საკუთარ საქციელზე. დამნაშავე მიხვდეს მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმეს. მედიაცია უზრუნველყოფს მონაწილეთა მხრიდან გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რომელიც გამოიხატება მხარეთა მიერ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებაში, როგორც დაზარალებულის ასევე დამნაშავის რესოციალიზაციაში, დამნაშავე არასრულწლოვნის სხვა უცხო პირებთან ურთიერთობის სწავლასა და საზოგადოებაში აღიარებული ნორმების პატივისცემაში[45].

კანონიერი წარმომადგენელია არასრულწლოვნის ახლო ნათესავი, მხარდამჭერი, მეურვე, მზრუნველი, რომელიც არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს და სარგებლობს არასრულწლოვნის უფლებებით, გარდა იმ უფლებებისა, რომლებითაც, თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანმა ისარგებლოს. კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა მედიაციის კონფერენციაში ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას წარმოადგენს არასრულწლოვნისათვის, ამიტომაც მისი დასწრება სავალდებულოა.

განრიდება

განრიდება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებაა, რომლის დროსაც პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან დაწყებული შეწყვიტოს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მეშვიდე ნაწილი განმარტავს განრიდებას, კერძოდ ,,განრიდება - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება". ამდენად, არასრულწლოვანთა განრიდება არის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ფორმა, რომელიც ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, მისი სამართალშეგნებულ ადამიანად განვითარებას, ასევე ნორმა მიუთითებს ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაზე.

განრიდების მთავარი ამოცანაა მოზარდის გამოსწორება, მისი დაცვა მართლმსაჯულების სტიგმატიზაციისაგან, კონფლიქტის სწრაფი მოგვარება, და ციხის პირობებში მისი კრიმინალად ჩამოყალიბების გარდაუვალი პროცესის პრევენცია, ნაკლები ეკონომიკური ხარჯი, ნაკლები რესურსის დახარჯვა (პროკურორების შესაძლებლობა, უფრო მნიშვნელოვან საქმეებს დაუთმონ დრო)"[46]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 38-ე მუხლი განმარტავს, თუ რა შემთხვევაში გამოიყენება განრიდება, რომლის პირველი ნაწილის თანახმად ,,თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა,

[45] შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, 110.

[46] შალიკაშვილი მ., მიქაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, ფრაიბურგი, სტრასბურგი, თბ., 2016, 94

პირველ რიგში, განიხილება განრიდების შესაძლებლობა და ფასდება, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას". პირველ რიგში პროკურორმა უნდა გაარკვიოს როგორი კატეგორიის დანაშაული ჩაიდინა არასრულწლოვანმა, რადგან განრიდების გამოყენების საფუძველი მხოლოდ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის დროს შეიძლება იყოს. ამასთან, სახელმწიფო ბრალდება უნდა დარწმუნდეს უზრუნველყოფს თუ არა განრიდების გამოყენება არასრულწლოვნის რეაბილიტაცია და რესოციალიზაციას. რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია არის ბენეფიციარში პასუხისმგებლობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, მისი ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობა და მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ,,პროკურორი უფლებამოსილია ამ თავით დადგენილი წესით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და განრიდების შესახებ". პროკურორი ამ შემთხვევაში იღებს ორი სახის გადაწყვეტილებას, პირველი არ დაიწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას და მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ, ან სისხლისსამართლებრივ დევნას შეწყვეტს და მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ. მესამე ნაწილის მიხედვით ,,პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით განრიდების გამოსაყენებლად საქმის განხილვისას ან განრიდების გამოყენების შესახებ მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის განხილვისას გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, არასრულწლოვნის ასაკი, ბრალეულობის ხარისხი, მოსალოდნელი სასჯელი, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანი, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, დანაშაულისშემდგომი ქცევა, არასრულწლოვნის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაული და ამ კოდექსის 27-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში". ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის რისკი და, შესაბამისად, არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს არასრულწლოვნის მიმართ საუკეთესო ინტერესებისთვის გამოსაყენებელი ნებისმიერი პირობა.

განრიდება როგორც წესი ფორმდება წინასასამართლო სხდომამდე, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი, თუმცა შესაძლებელია გაფორმდეს საქმის სასამართლოში წარმართვის შემდგომ. სასამართლო უფლებამოსილია, განრიდების გამოსაყენებლად საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებულს განრიდებას შესთავაზებს და, მისი თანხმობის შემთხვევაში, მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლო მეორე მხარის პოზიციასაც ისმენს.

განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია, არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ, ხოლო არასრულწლოვნისთვის განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში დგება გასაუბრების ოქმი, რომელშიც აღინიშნება განრიდებაზე უარის თქმის მიზეზი. ამ ოქმს ხელს აწერენ პროკურორი და არასრულწლოვანი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი. თუმცა ამ

უკანასკნელთ და, მათ შორის, ადვოკატს, უფლება აქვს განრიდების მოთხოვნით ზემდგომ პროკურორს მიმართოს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე- 40 მუხლი იძლევა განრიდების გამოყენების წინაპირობათა ჩამონათვალს, როდესაც განრიდება შესაძლებელი იქნება გამოყენებულ იქნეს შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას, ესენია:

ა) არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა;

ბ) არასრულწლოვანი ნასამართლევი არ არის;

გ) არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა;

დ) არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს;

ე) პროკურორის/სასამართლოს შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი არ არსებობს;

ვ) არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდების გამოყენებაზე წერილობით ინფორმირებულ თანხმობას გამოხატავენ.

განრიდება არასრულწლოვნის უფლებაა და არა ვალდებულება, შესაძლებელია მასზე უარი თქმა, აგრეთვე არასრულწლოვანს უნდა განემარტოს ნებისმიერი პირობა, რაც კავშირშია განრიდებასთან.

არასრულწლოვანთა მართლსაჯულების კოდექსის 42-ე მუხლში მოცემულია განრიდების ღონისძიებებათა ჩამონათვალი, რომელთაგან შესაძლებელია რამდენიმე იქნეს გამოყენებული, თუმცა განრიდების ღონისძიება გონივრული და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი უნდა იყოს. განრიდების პროცესში დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც იწვევს მისი ღირსებისა და პატივის შელახვას, ნორმალური სასწავლო პროცესისაგან და ძირითადი სამუშაოსაგან მის მოწყვეტას, ზიანს აყენებს მის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, აგრეთვე დაუშვებელია ჩადენილი ქმედებისათვის კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ სანქციაზე მკაცრი განრიდების ღონისძიების გამოყენება.

განრიდების და მედიაციის პრინციპები

,,პრინციპი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სახელმძღვანელო იდეას, რომელსაც ემყარება ადამიანი თავის მოქმედებაში.

განრიდების და მედიაციის პრინციპებია:

1. ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა;

2. ნებაყოფლობითობა;

3. პროპორციულობა;

4. კონფიდენციალურობა;

5. სტიგმატიზაციის დაუშვებლობა;

6. არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება.

ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა

როგორც უკვე ავღნიშნეთ, განრიდება და მედიაცია არის სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ჩაიდენს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულს და მის მიერ ჩადენილი დანაშაული იქნება პირველად ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. სწორედ ამას ემსახურება პრინციპი ,,ალტერნატიული მექანიზმის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა", რომ პირის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გადასინჯოს მაქსიმალურად და მოხდეს პირის მიმართ ალტერნატიული მექანიზმის გამოყენება, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი ქმედა კანონსაწინააღმდეგო არ იქნება.

ნებაყოფლობითობა

განრიდების და მედიაციის პროცესში მონაწილეობის ნებაყოფლობითობა გულისხმობს მხარეთა მხრიდან სურვილს, რომ მათ ნამდვილად სურთ განრიდება/მედიაციის პროცესში მონაწილეობა და ეს ნამდვილად მათი სურვილია. მათ ასევე უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს უარი თქვან განრიდება/მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე. მედიატორი ვალდებულია გაარკვიოს, ნამდვილად სურთ თუ არა მხარეებს პროგრამით სარგებლობა და მათი სურვილი ნებაყოფლობითია თუ არა. არ შეიძლება პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, დააძალო განრიდების და მედიაციის პროცესში ჩაებას, რადგან ეს მის ფსიქიკაზე ცუდად იმოქმედებს და ასევე ვერ იქნება მიღწეული განრიდებისა და მედიაციის მიზანი.

იურიდიულ ლიტერატურაში ნებაყოფლობითობასთან ერთად დამკვიდრებულია ,,ფაქტიური არანებაყოფლობითობის" ცნება. ფაქტიური არანებაყოფლობითობა სახეზეა, როდესაც განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილე ერთი მხარე იმდენად ძლიერია, რომ მას შეუძლია მოლაპარაკების დროს პირობები წაუყენოს მეორე მხარეს.

განრიდების და მედიაციის პროცესში ფაქტიური არანებაყოფლობითობა სახეზე გვექნება, როდესაც პროკურორი მოზარდს მხოლოდ ერთი სახის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხოლოდ ერთ სავალდებულო საქმიანობას შესთავაზებს და მოზარდს არ ექნება სხვა სამუშაოს შესრულების ალტერნატივა[47].

პროპორციულობა

პროპორციულობის პრინციპის დაცვა აუცილებელია იმისათვის, რომ პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული და მის მიმართ გამოიყენეს ესა თუ ის სადამსჯელო ღონისძიება, არ დარჩეს უსამართლობის და უკმაყოფილების განცდა.

პროპორციულობის გამოყენებისას პირველ რიგში უნდა დავადგინოთ, რომ:

[47] მ. შალიკაშვილი. არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, გვ. 33.

1. ჩარევა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს;

2. ჩარევა უნდა იყოს ეფექტიანი დადგენილი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად - აღნიშნული პირობა დაკმაყოფილებულია, როდესაც მიზნის მიღწევა თუნდაც თეორიულად არის შესაძლებელი;

3. ჩარევის ფორმა და ინტენსივობა უნდა იყოს აუცილებელი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად - ჩარევა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შედარებით ზომიერი საშუალება, რომელიც ისეთივე ეფექტიანი იქნებოდა მიზნის მისაღწევად;

4. ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი (თანაფარდობის ვიწრო გაგება) – ჩარევის შესაბამისობის დადგენისას წარმოებს ჩარევის შეზღუდულ და დაცულ სიკეთეთა ორმხრივი შედარება (აწონ-დაწონვა)[48].

კონფიდენციალურობა

კონფიდენციალურობა ერთერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი პრინციპია მედიაციის პროცესში. კონფიდენციალურობის დაცვა პირველ რიგში ემსახურება იმას, რომ დამნაშავე პირმა საზოგადოებაში კვლავ დაიმკვიდროს თავი. კონფიდენციალურობა გარანტიაა იმის, რომ პირი, რომელიც ჩაიდენს დანაშაულს და რომლის შესახებაც ინფორმაცია კონფიდენციალური იქნება, საზოგადოებაში რესოციალიზაცია ბევრად მარტივი და უმტკივნეულო იქნება.

„განრიდების ან/და მედიაციის პროცესში დამნაშავე და დაზარალებული პირის შესახებ მხარეების მიერ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა ემსახურება საზოგადოებაში მათ უმტკივნეულო რესოციალიზაციას[49].

სტიგმატიზაციის დაუშვებლობა

„სტიგმა“ არის ფიზიკური ან სოციალური თვისება, ნიშანი, რომელიც ახდენს აქტორის ან ჯგუფის სოციალური იდენტობის დევალვაციას და დისკრედიტაციას. სტიგმა შეიძლება იყოს ისეთი სოციალური მახასიათებელი, როგორიცაა ინდივიდის კრიმინალური რეპუტაცია[50].

არასრულწლოვნის მიმართ შეფარდებული ღონისძიება არ უნდა იწვევდეს არასრულწლოვნის სტიგმატიზაციას, მის მოწყვეტას ნორმალური სასწავლო პროცესისგან და არ უნდა ახდენდეს განსაკუთრებულ ზეგავლენას მისი ცხოვრების ჩვეულ რიტმზე.

ეტიკეტირების თეორია საუბრობს სოციალური კონტროლის ორგანოებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მხრიდან მოზარდის კრიმინალად ეტიკეტირებაზე (სტიგმატიზებაზე) და მოზარდის მიერ ახალი კრიმინალური იდენტობის აღიარებისა და გამართლების საშიშროებაზე. როგორც წესი, პირის „დამნაშავედ“ ეტიკეტირება ხდება სოციალური კონტროლის ორგანოების ან მათი წარმომადგენლების მიერ (პოლიცია, მედია, სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები და სხვა). მათ მიერ ნეგატიური (დევიანტური) ეტიკეტირება გავლენას

[48] ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე. კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2011, გვ. 92-93

[49] ქეროლინ ჰამილტონი, სახელმძღვანელო დოკუმენტი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011, გვ. 70

[50] ე. კოდუა, არასრულწლოვანთა სტიგმატიზაცია, ქ. თბილისი, 2004 წ., გვ. 290-291

ახდენს ინდივიდის ცნობიერებაზე და წარმოშობს მასში დევიანტურ იდენტობას, რაც ხელს უწყობს დევიანტური კარიერის განვითარებას.

დაუშვებელია პირის უარყოფა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო. სტიგმატიზაცია ართულებს იმას, რომ დამნაშავე პირმა საზოგადოებაში დაიმკვიდროს ადგილი.

განრიდების და მედიაციის პროცესში მონაწილე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუციებზეა დამოკიდებული ის, რომ არ მოხდეს მოზარდის დამნაშავედ სტიგმატიზაცია და შემდგომ მის მიერ საკუთარ პიროვნებაში დამნაშავის ძებნა. განრიდების და მედიაციის პროცესში მონაწილე პირების სათუთი და ინდივიდუალური დამოკიდებულება დამნაშავე მოზარდებისადმი უნდა ეყრდნობოდეს მოქალაქეთა პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობას და ხელს არ უნდა უშლიდეს მოზარდის კრიმინალად სტიგმატიზაციას და მისი კრიმინალური ,,კარიერის" ჩამოყალიბებას[51].

არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები.

არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის ან ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის ცნება ორ საკითხს აერთიანებს: კონტროლს და გამოსავლის ძიებას. კონტროლის კრიტერიუმი გულისხმობს ბავშვის უფლებებისა და მასთან მიმართებით არსებული ვალდებულებების ჯეროვნად განხორციელების უზრუნველყოფას. ხოლო გამოსავლის ძიების კრიტერიუმი გადაწყვეტილების მიღების დროს ყველა შესაძლო გამოსავალი იქნეს მოძიებული და შეფასებული ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, რაც ბავშვის კონკრეტულ ინტერესს განეკუთვნება[52].

პროკურორის გადაწყვეტილება, რომ განარიდოს არასრულწლოვანი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, პირველ რიგში უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს.

ბავშვის საუკეთესო ინტერესი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში უნდა განიმარტოს როგორც მისი უფლება: იყოს დაცული, ჰქონდეს უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის განცდა; ასევე უნდა იყოს დაცული მისი ჯანმრთელობის, განათლებისა და განვითარების უფლებები; უმთავრესი ამოსავალი წერტილია ბავშვის რეალიზაცია-რეაბილიტაცია და საზოგადოებაში მისი სრულფასოვან წევრად დაბრუნება[53].

განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში

---

[51] მ. შალიკაშვილი. არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, გვ. 40

[52] Schüler-Springorum 1988 გვ.11 (Schüler-Springorum, H., Die Resozialisierung des normalen erwachsenen Straftäters. Festschrift für Maihofer, 1988)

[53] თვაური რ., კონფიდენციალური პრინციპით ბოჭვის სტანდარტი მედიაციის პროცესში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2015, 29

განრიდებისა და მედიაციის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლების თანხმობის შემდეგ, პროკურორი, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალურ მუშაკთან ერთად ამზადებს ხელშეკრულებას.

განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება არის სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს არასრულწლოვნის უფლებამოვალეობებს და ზოგიერთი მოქმედების შეზღუდვას. ხელშეკრულებაში სტრუქტურულად გათვალისწინებულია მისი ძირითადი მონაცემები, ხელშეკრულების მიზანი, მხარეები, სტანდარტული, დამატებითი და დასკვნითი პირობები.

ხელშეკრულების ძირითად მონაცემებს წარმოადგენს არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, დანაშაულის სახე, კვალიფიკაცია და მისი ჩადენის ადგილი. გამომდინარე იქიდან, რომ განრიდების ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ იმ არასრულწლოვანთან, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, დანაშაულის კვალიფიკაციისა და მისი კატეგორიის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ხელშეკრულებით განსაზღვრულია არა მარტო არასრულწლოვნის ვალდებულებები და ქცევის განსაზღვრულობა, არამედ მისი მშობლის, მეურვის, რომლებიც ვალდებულებას იღებენ, დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურონ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზარალი, რომლის შესახებაც დგება ცალკე დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებულია ზიანის ოდენობა და ანაზღაურების წესი.

სტანდარტული პირობების შემდეგ, ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია დამატებითი პირობები, რომლებიც განსაზღვრავს არასრულწლოვანის და მისი კანონიერი წარმომადგენლის შედარებით უფრო კონკრეტულ ვალდებულებებს, სოციალური მუშაკის ფუნქციას, საქმიანობის წესს და პროკურორის როლს განრიდებაში.

არასრულწლოვნის მიმართ დაკისრებული მოვალეობა და მის მიმართ შეზღუდული რაიმე მოქმედება და ქცევის წესი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის პროპორციული უნდა იყოს და უნდა შეესაბამებოდეს არასრულწლოვნის ასაკს. დაუშვებელია იმაზე მკაცრი სასჯელის დანიშვნა, ვიდრე არასრულწლოვნის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის არის გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის ასაკისა და პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინება, რათა სწორად განისაზღვროს ზემოაღნიშნული ვალდებულებების პროპორციულობა.

ხელშეკრულების დასკვნით პირობებში განისაზღვრება მისი მოქმედების ვადა, ამოქმედების წესი, ცვლილებებისა და დამატებების შეტანისა და მხარეთათვის ხელშეკრულების გადაცემის წესები. განრიდების შესახებ ხელშეკრულების მაქსიმალური ვადაა 1 წელი, თუმცა შესაძლოა გაფორმდეს ნაკლები ვადითაც. ხელშეკრულება ამოქმედდება ყველა მონაწილე მხარის მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან. მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაც ასევე მხოლოდ ყველა ძირითადი მხარის წერილობითი თანხმობით არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაში ძირითად მხარეებს განეკუთვნებიან - არასრულწლოვანი, მისი მშობლები (კანონიერი წარმომადგენლები),

პროკურორი და სოციალური მუშაკი. ხელშეკრულება დგება იმდენ ასლად, რამდენი მხარეც მონაწილეობს მასში[54].

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, პროგრამაში ჩართული პირის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სოციალური მუშაკი. თუ არასრულწლოვანი შეასრულებს განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის თაობაზე. თუმცა არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მან არ გამოიყენოს მისთვის მიცემული შანსი და დაარღვიოს ხელშეკრულების პირობები. ამ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი ინფორმაციას აწვდის პროკურორს, რომელიც, აღნიშნულისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, არასრულწლოვნის, მისი კანონიერი წარმომადგენლის და სოციალური მუშაკის მოსაზრებების მოსმენის შემდეგ აუქმებს ან ძალაში ტოვებს განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას, ცვლის განრიდების ღონისძიებას ან/და აგრძელებს განრიდების ხელშეკრულების ვადას. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში არის წერილობითი ფორმით შედგენილი ოფიციალური დოკუმენტი არასრულწლოვნის შესახებ, რომლის მიზანია არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნეს მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის ხუთ სტადიაზე: განრიდების ღონისძიებების განსაზღვრისას, სასჯელის დანიშვნისას, საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ამზადებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, ხოლო საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას პენიტენციური დეპარტამენტი.

ინდივიდუალური შეფასების მომზადებისას გასათვალისწინებელია შემდეგი პრინციპები და სტანდარტები:

1. ობიექტურობა - ანგარიშში ასახული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა იყოს ობიექტური, მიკერძოების გარეშე;

[54] მ. შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, ქ. თბილისი, 2013 წ., გვ. 65

2. კონფიდენციალურობა-ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისას მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი გამჟღავნება, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ ან კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

3. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება-ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი. კერძოდ უნდა შეფასდეს თუ რა შედეგს მოიტანს არასრულწლოვნისთვის მისი პროგრამაში ჩართვა, როგორია დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი და ა.შ.

თავი IV. არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტატისტიკის ანალიზი და დეტერმინაცია (პრევენცია)

4.1. არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტატისტიკა.

იმისათვის რომ საკითხის აქტუალურობა ნათლად დავინახოთ უმჯობესია განვიხილოთ სტატისტიკა/უტყუარი ფაქტები, რომლებიც 2019 და 2020 წლისთვის საქართველოში დაფიქსირდა. სტატისტიკა გამოქვეყნებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ.

სტატისტიკიკური კვლევა ასახავს საქართველოს მასშტაბით არასრულწლოვნების მიერ ჩადენილ დანაშაულს და ამ დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთის მონაცემებს.

2019 წლის განმავლობაში სულ 291 არასრულწოვანმა პირმა ჩაიდინა სხვადასხვა სახის დანაშაული. აქედან 59 პირს შეეფერდა თავისუფლების აღკვეთა, რაც პროცენტულად 20% წარმოადგენს.



რაც შეეხება მიმდინარე წლის სტატისტიკას, 2020 წლის 4 თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი და აპრილი) განმავლობაში ფიქსირდება შემდეგი მონაცემები: სულ გამოვლინდა 67 დანაშაულის ფაქტი, ხოლო მსჯავრდებული არასრულწლოვნებიდან 13 პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, რაც 2020 წლის 4 თვის მონაცემებით 19% შეადგენს.



4.2. არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავიდან აცილება

მანამ სანამ დანაშუალის თავიდან აცილების გზებზე ვისაუბრებდე, მინდა ყურადღება გავამახვილო იმ ფაქტორებზე, რაც ძირითად შემთხვევაში პროვოცირებას უკეთებს არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენას. გარდატეხის ასაკში მოზარდების ქცევა მკვეთრად იცვლება. თვითდამკვიდრების, სამყაროში თავის ადგილის პოვნის, გამორკვევის პერიოდია რომელშიც მოზარდები რთული ფსიქო-ემოციური მდგომარეობით გამოირჩევიან. ამ გარკვეული გაუცხოვებისა და ჩამოყალიბების პერიოდის განმავლობაში, უდიდესი როლი ენიჭება ოჯახს, ოჯახურ მდგომარეობას, სოციუმს, სოციუმის გავრცელებულ მენტალიტეტს თუ სტერეოტიპებს, სამეგობრო წრეს, სოციალური სტატუსს, მოზარდის ზოგად მიდრეკილებებს და შეხედულებებს, მსოფლმხედველობას და ა.შ.

თუ მოზარდი/არასრულწლოვანი პირი არის სხვადასხვა გარემო ფაქტორების მსხვერპლი მაგალითად: სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლი, როგორც ფიზიკური ისე ფსიქოლოგიური, ან არის ზეწოლის ან გარკვეული იძულების მსხვერპლი, ასევე არის უკიდურესად გაჭირვებული, არ ყავს მშობლები ან არ ხორციელდება ოჯახის ან მეურვეების მხრიდან სათანადო ყურადღება, სითბოს, ზრუნვის გამოხატვა ბავშვზე, ან ბავშვი არასწორად ხარჯავს თავისუფალ დროს ასეთ შემთხვევებში რათქმაუნდა დანაშაულის ჩადენის ალბათობა მკვეთრად მატულობს.

რადგან მეტნაკლებად ჩამოვთვალე ის ძირითადი ფაქტორები, რაც ხშირ შემთხვევაში შეიძლება გახდეს სხვადასხვა დანაშაულის მაპროვოცილებელი, რათქმაუნდა ასევე შეგვიძლია ვისაუბროთ პრევენციის გზებზე. პრევენციის გზები შეიძლება დავყოთ სამ მიმართულებად. სამ პასუხისმგებელ ძირითად რგოლად, ესენია: ოჯახი/მეურვეები, სკოლა და სახელმწიფო.

პირველ რიგში უდიდესი როლი ენიჭება ოჯახს, მშობლების, მეურვების მზურუნველობას, ყურადღებას, ემოციური მხარდაჭერას და მათი მხრიდან შესაბამის კონტროლს, რათა არ მოხდეს მოზარდის ჩამოყალიბება პოტენციურ დამნაშავედ, რასაც ჰირშის (1969) თეორიაც ამტკიცებს.

ასევე მნიშვნელოვანია მოზარდთა ემოციური და ფინანსური მხარდაჭერა. ხელშეწყობა მისი მიზნების, გატაცებების, ჰობის, გარკვეული გარემოს შექმნის, სადაც ის თავს იგრძნობს ლაღად, დაცულად და შეძლებს შესაბამისი მხარდაჭერის, სითბოს და განათლების მიღებას.

სკოლას ასევე დიდი როლი ენიჭება მოზარდების ჩამოყალიბებაში და მისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაში. მაგალითად, მანდატურის სამსახურის შექმნა სწორედ წინგადაგმული ნაბიჯია, რათა მოვახდინოთ პოტენციური დანაშაულის აღკვეთა. ასევე მაგალითად შეიძლება განვიხილოთ სასკოლო საგნის სამოქალაქო განათლების დანერგვა, რაც ხელს უწყობს და ამტკიცებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფოს როლზე არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციასთან მიმართებაში აქ რათქმაუნდა საკმაოდ ფართო კუთხით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ სოციალური მუშაკების ინსტიტუტის და საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით. ასევე სხვადასხვა სოციალური პაკეტების შემოღების კუთხით, მაგალითად მუნიციპალური სპორტკომპლექსებში მოზარდებს ხელმისაწვდომ ფასად უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ჩაერთონ სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში. ასევე უნდა მოხდეს მუნიციპალურ ბიბლიოთეკებში, თეატრებში, მუზეუმებში მოზარდებისთვის საშეღავათო პაკეტების გააქტიურება და წამახალისებელი შემეცნებითი აქტივობების დაგემგმვა.

თავი V. კვლევის შედეგები

ნაშრომში განხილული იქნა არასრულწოვანთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება.

ნაშრომი დაწყებულია დანაშაულის ცნების განხილვით. კვლევებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის ცნების ქვეშ მოიაზრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომელიც ჩადენილია 14-17 წლის მოზარდების მიერ.

არასრულწლოვანთა დანაშაულის ცნების განხილვის შემდგომ მსჯელობა მიმართულია დანაშაულობის დახასიათებისკენ. არასრულწლოვანთა დანაშაული არის ნორმალური მოვლენა, რომელიც საზოგადოების ყველა ფენაშია გავრცელებული, ახასიათებს ეპიზოდურობა, არის მაღალლატენტური და ხშირად ჩადენილია ჯგუფურად. მის მთავარ მახასიათებელს კი დამნაშავის ასაკი წარმოადგენს.

ნაშრომში წარმოჩენილია დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზების შესახებ სხვადასხვა ავტორის მოსაზრება და კვლევვა, რის შედეგადაც გამოიკვეთა დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზები, მაგ.: ოჯახური გარემო, სოციალური მდგომარეობა, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, სამეგობრო წრე და ა.შ.

2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი,“ რომელიც სრულად იზიარებს ევროპულ და საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს. კოდექსის მიღებით ხაზი გაესვა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსაკუთრებულ მნიშვნელობას და შეიქმნა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეფუძნება.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. ამასთან, დაინერგა განრიდება-მედიაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს საშუალება აქვს გააცნობიეროს ჩადენილი ქმედებისათვის საკუთარი პასუხისმგებლობა, გამოასწოროს დანაშაულის შედეგები, აანაზღაუროს ზიანი ან/და შეურიგდეს დაზარალებულს. განრიდება-მედიაციის პროგრამის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის, მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი დანაშაულის

თავიდან აცილება. კანონმდებლობით განსაზღვრულია განრიდება-მედიაციის პროგრამის შემდეგი ძირითადი პრინციპები: ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა, ნებაყოფლობითობა, პროპორციულობა, კონფიდენციალურობა, სტიგმატიზაციის დაუშვებლობა და არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი იყო წარმომეჩინა არასრულწლოვანთა დანაშაულის თავისებურებანი, მისი გამომწვევი მიზეზები და პრევენციის გზები.

ნაშრომის დასასრულს, დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულობა არის ნორმალური მოვლენა, რომელიც საზოგადოების ყველა ფენაშია გავრცელებული. შეიძლება ითქვას, რომ იგი ზოგადად დანაშაულობის შემადგენელი ნაწილია (ერთ-ერთი სახეა), თუმცა მას აქვს ისეთი სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშნები, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ მასზე მსჯელობა წარიმართოს დამოუკიდებლად.

არასრულწლოვნების პერიოდი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია, აქედან გამომდინარე ის დიდ გავლენას ახდენს პირის მომავალზე. შესაბამისად, კანონმდებლობა უნდა იყოს იმდენად ჰუმანური, რომ ამ ასაკში ჩადენილმა დანაშაულმა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს პირის ცხოვრებაში.

უდავოა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წელს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი პროგრესული ნაბიჯია ქართულ მართლმსაჯულებაში, რომელიც სრულად იზიარებს საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობისა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპების საკანონმდებლო დონეზე განმტკიცება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების ინტერესებს ემსახურება. კოდექსის მიღებით ხაზი გაესვა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსაკუთრებულ მნიშვნელობას და შეიქმნა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეფუძნება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განსაკუთრებული როლი სასჯელებს აკისრია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. არასრულწლოვნის მიმართ გამოსაყენებელ სისხლისსამართლებრივ სანქციას აღმზრდელობითი ფუნქცია აქვს. ამასთან, მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა. განრიდება-მედიაციის პროგრამის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის, მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

რაც შეეხება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას, როგორც უკვე განვიხილეთ, მნიშვნელოვანია სამი ძირითადი პასუხისმგებელი რგოლის გამოყოფა, ესენია: ოჯახი, სკოლა და სახელმწიფო. იმისათვის, რომ მოზარდები დავიცვათ კრიმინალური სამყაროში ჩაბმისაგან, მნიშვნელოვანია ამ სამი რგოლის კომპლექსური მუშაობა, მხარდაჭერა მოზარდის ჩამოყალიბებასა და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. გახოკიძე ც, მ. გაბუნია, კრიმინოლოგია, თბ., 2017;
2. გოძიაშვილი ი., კრიმინოლოგია. თბ., 1998;
3. დემეტრაშვილი ა., ი. კობახიძე. კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2011;
4. დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013;
5. ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, 2017;
6. ვარძელაშვილი ი.., სადისერტაციო ნაშრომი, სასჯელის მიზნები, თბ. 2016;
7. ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი), არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2017;
8. თვაური რ., კონფიდენციალური პრინციპით ბოჭვის სტანდარტი მედიაციის პროცესში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2015;
9. ივანიძე მ., „არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები“, წიგნში არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2017;
10. ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, (შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი-85, საიუბილეო კრებული, თბ., 2014;

11. კოდუა ე., არასრულწლოვანთა სტიგმატიზაცია, თბ., 2004;
12. კოდუა ე., ,,სოციოლოგია'', II ნაკვეთი, თბ., 1998;
13. ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი'', N4,
14. ლობჟანიძე გ., საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა , 2002;
15. მამრიკაშვილი ნ, აღზრდა, როგორც დანაშულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმი, ქუთაისი, 2017;
16. მახარობლიძე თ., არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა/ სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, თბ., 2017;
17. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში/ საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბ., 2016;
18. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ, 2018;
19. პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999;
20. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013;
21. შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013;
22. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისოსამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2011;
23. შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბ., 2016;
24. შეყილაძე ხ. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის არსი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი , სამართლის ჟურნალი N2 2016 , უნივერსიტეტის გამოცემა.
25. წულაია დ., კრიმინოლოგიის მნიშვნელობა საზოგადოებასა და სახელმწიფოში, ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი'', N3
26. ზ. წულაია, „კრიმინოლოგია“, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 1998;
27. ზ. წულაია, ,,კრიმინოლოგია'', ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2003;
28. ხერხეულიძე ი, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა- არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი

(საქართველოსა და აშშ-ს სისხლისამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი). მართლმსაჯულება და კანონი, #2 (29) 11,

29. ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, თბ., 2011.

უცხოური ლიტერატურა:

30. И. И. Карпец , Преступность: иллюзии и реальность, М., 1992, с. 69.
31. StGB
32. Schüler-Springorum 1988 (Schüler-Springorum, H., Die Resozialisierung des normalen erwachsenen Straftäters. Festschrift für Maihofer, 1988)

ნორმატიული აქტები:

33. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015;
34. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ;
35. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
36. საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, 2007;
37. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009.

ვებ. გვერდები:

38. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika